სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 24 ივნისი 2004 №143 (2162) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერმანია გადაიჩეხა

ბრუკნერის ჩეხეთი

საყოველთაო სიმპათია და არგუმენტები: სამჯერ შემოტრიალებული თამაში, სამი მატჩის ცხრა ქულა, ხარისხი, ფინი, სანახაობა



რუდი ფიოლერი

მე რეალისტი ვარ. 2006 წლამდე კონტრაქტი მაქვს და მსურს, რომ ნაკრების მწვრთნელად დავრჩე. შეცდომებს მოგვიანებით მშვიდად გავაანალიზებთ და გამოვასწორებთ.

მიხაელ ბალაკი

ეს ძალიან მწარე მარცხია. ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლით ვხარობდით, ახლა კი ჯგუფიდანაც ვერ გავედით, აღმოჩნდა, რომ იოლად დასამარცხებელი გუნდები აღარ არსებობენ.

ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ გოლი ვერ გავიტანეთ. არადა, უამრავი მომენტი გვქონდა. ჩეხებმა მეორე შემადგენლობით ითამაშეს და მათი ძლევაც კი ვერ შევძელით. წაგებას არავის ვაბრალებ. ახლა მომავლის იმედი მაქვს. უნდა ვიშრომოთ, რათა 2006 წლისთვის საჩემპიონო გუნდი შევქმნათ.

გერმანია	23 ივნისი	ჩეხეთი
1	D ჯგუფი. III ტური ლისაბონი. ჟოზე ალვალადე	2

1:0 ბალაკი (21), 1:1 ჰაინცი (30), 1:2 ბაროში (77)

გერმანია:
1 კანი
3 ფრიდრიხი, 4 ვიორნსი
5 ნოვოტნი
22 ფრინგსი, 21 ლამი
8 ჰამანი
19 შნაიდერი, 7 შვაინსტაიგერი
13 ბალაკი
10 კურანი
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი

შეცვლა: ფრინგსი — 20 პოდოლსკი (46), ჰამანი — 11 კლოზე (79), შვაინსტაიგერი — 16 იერემისი (86)

ჩეხეთი:
16 ბლაჟეკი
5 ბოლფი, 22 როზენალი
13 ჟირანეკი, 3 მარეში
4 გალაშეკი
20 პლასილი, 14 ვახოუშეკი
19 ტისი
18 ჰაინცი, 12 ლოკვენცი
მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი

შეცვლა: გალაშეკი — 17 ჰუბშმანი (46), ლოკვენცი — 15 ბაროში (59), პლასილი — 8 პობორსკი (70)

გაფრთხილება: ნოვოტნი (38), ტისი (48), ლამი (74), ვიორნსი (83)
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია). 46 849 მაყურებელი

ჯარიმა: 20-18; კუთხური: 9-1; კარისკენ დარტყმა: 14-7; კარში დარტყმა: 6-2; თამაშგარე: 4-0

აინ, ცვაი, დრაი
გერმანიამ სამზე მეტი ვერ დათვალა



REUTERS ლისაბონიდან

ასე გავიდა მილან ბაროშის მეორე გოლი, რომელმაც გერმანია სახლში გაისტუმრა

Euro 2004 — ვაჟა ხუციშვილი

გერმანიამ ვერ შეინარჩუნა გამარჯვება ჰოლანდიასთან, გოლი ვერ გაუტანა ლატვიას და ბოლოს უნედველო, ურონიცკო, უკოლერო, თითქოს უმოტივაციო ჩეხებთან წააგო. წააგო და ამ მარცხში საოცარი ის იყო, რომ მატჩის მიწურულს მეტოქეს არ მიაწვნენ ისე, როგორც გერმანულ ჯიგარს ეკადრება.

კარელ ბრუკნერმა დაასვენა „დიდი“ ბიჭები და რუდი ფიოლერს შანსი მისცა, მაგრამ ჩეხთა ვითომ სათადარიგოებმა, უპირველესად კი მეკარემ, სასწაულები ჩაიდინეს.

მიხაელ ბალაკის წინ წაწევამ გაამართლა. ბაიერნელი ხშირად ერთვებოდა შეტევებში. პირველ ტაიმში სამჯერ დაარტყა კარში და შვაინსტაიგერის პასით კოხტა გოლიც შეაგდო.

დაწინაურებულებმა სცადეს კონტრიერიშებზე თამაშის აწყობა, მაგრამ არ გამოუვიდათ.

მეოთხედფინალში თავდაგულებული ჩეხები მშვიდად დააგორებდნენ ბურთს გერმანელთა ნახევარზე. სამჯერ სახიფათო საჯარიმო შეასრულეს და მესამე ცდაზე მარეკ ჰაინცმა ბურთი გერმანელთა კარში ჩასვა. საცოდავი სანახავი იყო ოლივერ კანი, ძელიდან ძელამდე, ხაზზე რომ მირბოდა, მაგრამ უზუსტესად და ძლიერად დარტყმულს ვერ მისწვდა.

რუდი ფიოლერის გუნდს თავიდან უნდა დაეწყო ყველაფერი, თან დაცვაში სიფრთხილეც მართებდა, ამიტომაც პირველ ტაიმში ზურგი აღარ მოიშიშვლა და შესვენებაზე მეორე ნახევრის იმედად წავიდა.

მეორე ტაიმში გერმანელები დაიქოქნენ. ჩეხთა საჯარიმო გადათელეს. აურაცხელი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ბურთს კარის ხაზი ვერ გადააკვეთინეს. შნაიდერს ბლაჟეკმა შორიდან დარტყმულ აუღო, ბალაკს კი ახლოდან — თავური.

ლოკვენცმა ფეხი იტკინა და იგი მილან ბაროშმა შეცვალა, რომელმაც შეაგდო კიდეც გამარჯვების გოლი. თუმც მანამდე ჩეხთა კართან ბალახი იწვოდა.

მიხაელ ბალაკმა თერთმეტიოდ მეტრიდან დაჰკრა, ბურთი ძელმა შნაიდერს მიუგორა, მეკარე ძირს ეგდო, მაგრამ შნაიდერის სუსტად დარტყმულს მაინც მიასწრო და მუშტებით მოიგერია. ბრუკნერის გუნდი თავს ისე იცავდა, თითქოს ერთი ქულა ჩემპიონობას მოუტანდა.

ჩეხი მცველები ფრინავდნენ, წვებოდნენ, უცნაურად იგრიხებოდნენ, ოღონდ კი გოლი არ გაეშვათ. ერთ-ერთი მათგანი კურანის დარტყმულ ბურთს გადაეფარა. კვლავ შნაიდერმა გააცუდა მომენტი, როცა ახლოდან თავით აცილა, ხოლო დაახლოებით მე-60 წუთზე ჩეხთა საჯარიმოში მეტოქეები ისე აიხლართნენ, რომ ვისი ფეხი ვის ბუცში იყო, ვერ გაარკვევდით. მცველმა ხაზიდან გააძევა ბურთი, შვაინსტაიგერმა დაამატა, მაგრამ ბლაჟეკმა სასწაულებრივ მოიგერია. კევინ კურანიმ ორიოდ მეტრიდან ლეწა თავით და მასაც არ გაუმართლა, მოჯადოებულ კართან ვერაფერი გააწყვეს.

გაოგნებული გერმანელები მილან ბაროშმა მთლად გადარია. „ლივერპულის“ ფორვარდი მცველებმა კანთან მიაცილეს, მეკარემ პირველი დარტყმა უკუაგდო, მაგრამ ბურთი იღბლად ბაროშს დაუბრუნდა და მანაც იოლად გაიტანა მეორე, რუდი ფიოლერის დამღუპველი გოლი.

მწვრთნელმა ჰამანი კლოზეთი შეცვალა, მაგრამ, სამწუხაროდ, გერმანელთა მეტოქე გუშინ საუდის არაბეთი არ იყო.

REUTERS ლისაბონიდან

ოლივერ კანს და გერმანიას თავი აღარსად გამოეყოფათ

რამდენმე დღის წინ, როცა საბერძნეთი ესპანეთს ფრედ ეთამაშა და, ფაქტობრივად, გაინაღდა მეოთხედფინალში თამაში, „სარბიელის“ სათაური იუწყებოდა: რეჰაგელმა ბერძნები ხალხად აქცია.

გუშინ კი რედაქციაში ბერძნული სათვისტომოს წარმომადგენლები გვესტუმრნენ, რომლებმაც ეს სათაური ბერძენი ხალხისთვის შეურაცხმყოფელად მიიჩნიეს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ბერძენი ერის შეურაცხყოფა აზრად არ მოგვსვლია. „სარბიელი“ სპორტული გაზეთია და ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას ჩვენ ამ სათაურში მხოლოდ საბერძნეთის ნაკრებს ვგულისხმობდით და არა ბერძენ ხალხს. მაგრამ თუ ვინმემ ეს სათაური შეურაცხყოფად მიიღო, მზად ვართ, ბოდიში მოვუხადოთ.

მეოთხედფინალი

24 ივნისი. 23.45
პორტუგალია — ინგლისი
25 ივნისი. 23.45
საფრანგეთი — საბერძნეთი
26 ივნისი. 23.45
შვედეთი — ჰოლანდია
27 ივნისი. 23.45
ჩეხეთი — დანია

მეოთხედფინალიდან დამატებით დროში იმოქმედებს „ვერცხლის გოლის“ წესი

დიკ ადვოკაატი

ძნელი პერიოდი გავიარეთ და მეოთხედფინალში გავედით. ახლა შვედეთს ვეთამაშებით. შვედეთი ჯი ის გუნდია, რომლის შესახებაც ყველაფერი ვიცით და ჩვეულებრივ ვუგებთ ხოლმე.

ჰოლანდია 3 — ლატვია 1

23 ივნისი
D ჯგუფი. III ტური
ბრაგა. მუნიციპალი

1:0, 2:0 ვან ნისტელროი (27პ, 35), 3:0 მაკაი (84)

ჰოლანდია: 1 ვან დერ სარი; 3 სტამი, 15 დე გური, 2 რაიციგერი, 5 ვან ბრონკჰორსტი; 6 კოკუ; 20 ზეედორფი, 8 დავიდსი; 7 ვან დერ მეიდე, 19 რობენი; 10 ვან ნისტელროი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

შეცვლა: ვან დერ მეიდე — 16 ოვერმარსი (63), ვან ნისტელროი — 12 მაკაი (70), დავიდსი — 14 სნეიდერი (77)

ლატვია: 1 კოლინკო; 4 ზემლინსკისი, 2 სტეპანოვსი, 7 ისაკოვსი, 6 გლაგონადეჟდინსი; 14 ლობანიოვსი; 8 ბლეიდელისი, 10 რუბინსი; 3 ასტაფიევსი; 11 პროხორენკოვსი, 9 ვერპაკოვსკისი

მწვრთნელი: ალექსანდრს სტარპოვსი

შეცვლა: ვერპაკოვსკისი — 17 პახარსი (62), პროხორენკოვსი — 5 ლაიზანსი (74), ბლეიდელისი — 19 შტოლცერსი (83)

გაფრთხილება: ლობანიოვსი (53)
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია). 30 000 მაყურებელი

ჯარიმა: 13-16; კუთხური: 9-3; კარისკენ დარტყმა: 13-2; კარში დარტყმა: 18-3; თამაშგარე: 2-2

ჰოლანდიამ ჩალაგებული ამოალაგა

რუუდ ვან ნისტელროიმ ჰოლანდიის საქმე პირველ ტაიმშივე მოამთავრა

კაპუნა კედია

ამ შეხვედრაში ჰოლანდიას უნდა მოეგო და იმავდროულად გერმანიას ჩეხებთან არ უნდა გაემარჯვა ან, უარეს შემთხვევაში, ჰოლანდია — ლატვია ფრედაც შეიძლებოდა დასრულებულიყო, ოღონდ იმ პირობით, გერმანია ჩეხებთან თუ წააგებდა.

ამავე შეხვედრაში ლატვიას ჰოლანდია უნდა დაემარცხებინა, ხოლო გერმანიას და ჩეხებს თავიანთი მატჩი ფრედ ან ჩეხების გამარჯვებით უნდა დაემთავრებინათ.

„ჩეხებს პირველი გოლი გავუტანეთ, გერმანიას ქულა ავართვით, მაშ, ჰოლანდიას რატომ ვერ უნდა მოვუგოთ?“ — იმეორებდა მატჩის დილას ლატვიელთა კაპიტანი ვიტალის ასტაფიევსი.

„ერთადერთი, რაც შეგვიძლია, თამაშზე ყურადღების მოკრება და გამარჯვებაა. მატჩის შემდეგ კი შეგვიძლია ვიკითხოთ, გერმანიამ ჩეხეთთან რა ჰქნა და იმედი ვიქონიოთ, რაც ჰქნა, საჩვენო იქნება“ — ამბობდა იმავე დილით არიენ რობენი.

თამაშის დღეს ჟურნალისტებმა მეტოქეთა ბანაკებიდან სხვა გამონათქვამებიც გამოაძვრინეს, მაგრამ ახლა მათ დაწვრილებით აღწერას არ ვაპირებთ. მატჩისწინა ამბებიდან მხოლოდ იმის დამატებაღა შეიძლება, რომ ბრაგას უცნაურ, ორტრიბუნიან და თითქოსდა ნახევრადაშენებულ თუ ვერდასრულებულ სტადიონზე ჰოლანდიელები ლატვიელ ქომაგებზე ორჯერ მეტნი კი იყვნენ, მაგრამ დამსწრე ჟურნალისტთა თანახმად, მათი ხმის ჩახშობას მაინც ვერ ახერხებდნენ.

მოედანზე კი პირველი ტაიმი დუნედ დაიწყო და დუნედაც მიილია, მაგრამ ჰოლანდიის სასარგებლოდ 2:0 დასრულდა. განსაკუთრებით გაუგებარი ჰოლანდიელების მშრალი თამაში გახლდათ, თუმცა მომენტები მაინც იყო. მართალია, იმდენი არა, რამდენსაც მაყურებელი ელოდა, მაგრამ, მაგალითად, მე-14 წუთზე რობენის პასით მეკარესთან პირისპირ შესულმა რუუდ ვან ნისტელროიმ კოლინკოს ვერ ავჯობა. არადა, თითქოს ვარიანტები ასარჩევად ჰქონდა და არ იყო სივრცით ან წამის ნაკლებობით შეზღუდული.

21-ე წუთზე ბრაგაში ლისაბონიდან ამბავი ჩავიდა, მიხაელ ბალაკმა ჩეხეთს გოლი გაუტანაო. ასეთი შედეგი გერმანიის მეოთხედფინალისტობას ნიშნავდა, ჰოლანდიას კი ამის საწინააღმდეგოდ გააქტურება მართებდა. გააქტიურდა კიდეც და 26-ე წუთზე დავიდსის წაქცევისთვის (თუმც ძალიან საეჭვო ეპიზოდი გახლდათ) მსაჯმა კიმ-მილტონ ნილსენმა პენალტი დანიშნა. თერთმეტი მეტრიდან გოლი ვან ნისტელროიმ შეაგდო.

და მაინც, 31-ე წუთამდე ჰოლანდია, ანგარიშის მიუხედავად, „ჩემოდანს ალაგებდა“, რადგან ლისაბონიდან საიმედო არაფერი ისმოდა. მაგრამ აი, ბრაგას „დაუსრულებელ“ სტადიონზე მარეკ ჰაინცის დიდებული საჯარიმო გოლის ამბავი გამოაცხადეს და ჰოლანდიამაც „ჩემოდნიდან ნივთები ამოალაგა“, ხოლო ოთხი წუთის შემდეგ ზეედორფის ჩაწოდებული ბურთი კოკუმ საჯარიმოში ძალიან კარგად დაუგდო თავით ვან ნისტელროის და მანაც ანგარიში გაზარდა.

მეორე ტაიმი ლატვიელების შეტევით დაიწყო, რუბინსის დარტყმული ედვინ ვან დერ სარმა აიღო და მოედნის კიდესთან როი მაკაიმ დაიწყო გახურება. როგორც მოგვიანებით დადასტურდა, დიკ ადვოკაატს მაკაი ვან ნისტელროის შესაცვლელად სდომებია, მაგრამ ეს ცვლილება 20 წუთის შემდეგ შედგა, მანამდე კი ვან ნისტელროიმ ჯერ 6 მეტრიდან ვერ მოახერხა ჰეთ თრიქის შესრულება, ხოლო მოგვიანებით მისი დარტყმული კოლინკომ მოიგერია.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშის მიუხედავად კოლინკომ ამ შეხვედრაში კარგად ითამაშა, თუმცა შეხვედრას ერთი გამოკვეთილი თვისება ჰქონდა, სტადიონზე შეკრებილნი და ვინ იცის, ფეხბურთელებიც საკუთარ კარგ თამაშზე მეტად ლისაბონიდან მიღებულ ცნობებზე რეაგირებდნენ.

77-ე წუთზე ლისაბონიდან ამბავი ჩამოვიდა: მილან ბაროშმა გერმანიის კარში ჩეხთა მეორე გოლი გაიტანა. ახლა გერმანელებს დარჩენილ წუთებში ორი გოლის გატანა სჭირდებოდათ, რაც ძალიან ძნელად დასაჯერებელი რამ იყო.

84-ე წუთზე კი როი მაკაიმ რობენის დრიბლინგით წამოწყებული შეტევა გოლით დაასრულა...

მატჩის შემდეგ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფილიპ კოკუმ განაცხადა — დიდი მადლობა ჩეხებს გერმანიის დამარცხებისთვის, ხალხის რეაქციის მიხედვით ვხვდებოდით, რა ხდებოდა ლისაბონში და ეს დამატებით ძალას გვმატებდა.

ბებერ იაპ სტამს შემართება არ დაეწუნება

საბოლოო ცხრილი

ჩეხეთი	3	3	0	0	7:4	9
ჰოლანდია	3	1	1	1	6:4	4
გერმანია	3	0	2	1	2:3	2
ლატვია	3	0	1	2	1:5	1

ჩეხეთი და ჰოლანდია გავიდნენ მეოთხედფინალში

გიო ახვლედიანი პორტუდან

ბაი, ბაი, იტალია...

ასეთი იყო სიმღერა, რომელიც თამაშის წინ მოვისმინე „ბესას" სტადიონის მისადგომებთან

უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვესწრებოდი ამ თამაშს, რომლის გამოც ახლა იტალიაში იძახიან, ჩაწყობილი იყოო და რომლის გამოც იტალიური ფეხბურთის მამამ ფრანკო კარარომ სახალხოდ განაცხადა: თამაშის მსვლელობა უჩვენებს, რომ ეს შეთანხმებული თამაში იყო.

იტალიელებს უნდა გაუგო, ვინაიდან მათ თავი უნდა გაიმართლონ. მაგრამ იტალიელებს არ უნდა დაეთანხმო, რადგან, მგონი, პირველად ფეხბურთის ისტორიაში ციფრებმა, კოეფიციენტებმა, გოლებმა და ურთიერთშეხვედრებმა იტალიის სასარგებლოდ არ იმუშავა. გაბრაზებული ფიორე სულ კრიმინალე, კრიმინალეს ძახილით დაშორდა მიკროფონებს შერეულ ზონაში, ბუფონმა კი თქვა, რომ ეს სპორტია და სკანდინავები მათ წინააღმდეგ შეითქვნენ, ამიტომ ზედმეტს ვერაფერს იტყვის. 62 წლის ტრაპმა კი თქვა, რომ ამაყობს თავისი ფეხბურთელებით, რომლებიც იმსახურებდნენ მოგებას წინა ტურში შვედებთან მატჩში: მსაჯის სასტვენი მთლად ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობდა, მაგრამ ამას ვერ გამოვეკიდები. კონტრაქტი ოც დღეში მითავდება, ასარჩევი ბევრია. შვედებთან უნდა მოგვეგო. შეკვეთით მოგება კი ძნელია.

გუშინ დილიდან ხმაურობენ იტალიური გაზეთები. მოგეხსენებათ, არც გაჩერდებიან, სანამ ჩემპიონატი არ დამთავრდება. მე რამდენიმე უცენზურო იტალიური სიტყვა ვიცი და ამ სიტყვებს იქაური ჟურნალისტები დერეფანშიაც ხშირად ყვიროდნენ, ჯერ კიდევ შვედებთან მატჩის წინ და შემდეგ.

საქმე კი ის არის, რომ იტალიას გოლი დააკლდა. გქონოდა ერთი გოლი და დანია ხახამშრალი დარჩებოდა. რუსმა ივანოვმა სადავო პენალტი დადო იტალიელების კარშიო და ბულგართა კარში კი არ დადოო. კი, ასეც შეიძლება მოთარგმნო, ოღონდ იტალიელებს ამ პენალტების გამო ხმა არ ამოუღიათ.

სინამდვილე კი ის არის, რომ იტალიელებს ყველა თამაშში თითო გოლი აკლდებოდათ. მათ ბრწყინვალედ ითამაშეს შვედების წინააღმდეგ, მაგრამ ვერ მოიგეს. მანამდე ისინი დანიელებს გადაურჩნენ. საერთოდ, ვინც უკეთ მოუგო ბულგარეთს, ის გავიდა. იტალია კი გატეხილი და ნერვიული ჩანდა. განსაკუთრებით ტოტის ფურთხის შემდეგ. ისინი ძალიან ნერვიულობდნენ. ხუმრობა ხომ არ არის, იტალია ხარ და ჩამოხვედი, რათა ჩემპიონი გახდე. კი, ასე იყო.

ოღონდაც, მხოლოდ იტალიის ნაკრები არ დაზარალებულა ამ შედეგით. ბევრი ტოტალიზატორის ტრფიალი დაზარალდა და ბევრი ტოტალიზატორიც. უილიამ ჰილის კანტორამ გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა, ამ შედეგებმა ექვსნიშნა თანხა წაგვაგებინაო.

უეფამ კი თქვა, გამოსაძიებელი არაფერიაო. დანიელთა თავკაცმა მორტენ ოლსენმა ხელები გაშალა: ვინც თამაშს უყურა, ის დაინახავდა, არაფერი შეთანხმება აქ არ იყო, მხოლოდ, როცა შვედებმა მეორე გაიტანეს და იტალიელთა მატჩის შემდეგ საცხაური გახდა, თამაში შეჩერდაო. შვედებმა რომ გამათანაბრებელი შეაგდეს, ამას მხოლოდ წამი-წამზე მოჰყვა იტალიელთა გოლი ბულგარელთა კარში. ეს საკმარისი აღარ იყო. ალბათ ყველამ ნახეთ, როგორ გადაიზარდა ანტონიო კასანოს სიხარული ცრემლებში და ეს ძალიან მტკივნეული იყო. მართლა მტკივნეული. სიხარულით „ბესაზე" ხარობდნენ.

მოგახსენებთ, რომ დანია-შვედეთს იმ 27 ათას კაცთან ერთად მეც ვესწრებოდი პორტუს სტადიონ „ბესაზე" და თუ ფეხბურთში რამე გამეგება, შვედების მეორე გოლი ნაღდი იყო, ოღონდაც ეს კია, რომ ამ გოლის შემდეგ გუნდები გაჩერდნენ. შვედები თავის ნახევარზე აგორებდნენ ბურთს, დანიელები კი თავის ნახევარზე იდგნენ და, მგონი, უფრო იმას ელოდნენ, როდის ჩასტვენდა რუსი ივანოვი თამაშის დამთავრების აღმნიშვნელს სულ სხვა ქალაქში.

საერთოდ კი, პორტუ ისე დაეჩვია ფეხბურთს, რომ წვიმიანი დღეც დახვედრა სკანდინავებს, რომლებმაც თითქოსდა თავიანთი ამინდი ჩამოიტანეს ქალაქში, თუმცა წვიმდა მთელს ჩრდილოეთ პორტუგალიაში და დასველდნენ იტალიელებიც.

„ბესას" მისადგომებთან დანიელები და შვედები ერთად ერთობოდნენ და ერთად მღეროდნენ. თუკი წითელ-ყვითლად ჩაცმული თეთრი ქალების დაუვიწყარი ლაშქრების ცქერა გსურდათ, სწორედ ბოავიშტას უბანში უნდა ყოფილიყავით. გულშემატკივრობა ორივე მხარემ დიდებული იცის და სიხარულიც სახეზეა. ოღონდაც, ამათ სამტრო ერთმანეთში არა აქვთ და საერთოდ, ნორდიკები სხვას არასდროს ემტერებიან მუშტით, წიხლით და სკამით.

სწორედ ამ თამაშისწინა ერთობაში გაისმა პირველად სიმღერა: „ბაი, ბაი, იტალია", რომელსაც ბევრი შეუერთდა სიხარულით. სახელდახელო პლაკატიც მზად იყო: ნორდების ტრიუმფი, 2-2. მოდი, ახლა და დააჯერე ვინმე, რომ ისინი არ შეითქვნენ.

მოდი ვიფიქროთ, რომ ისინი შეითქვნენ, ოღონდაც სულ სხვა ამბავში და შეუთანხმებლად, ასე ვთქვათ, გონებრივად: შვედებს დანიელების გასვლა ერჩივნათ, დანიელებს შვედების. ეს გასაკვირი არ არის.

ქართველ მეტოტალიზატორეებს და ჩაწყობილ თამაშთა გამოთვლის ტრფიალთ კიდევ უფრო გაურლმავდებოდათ ეჭვი, თამაშამდე საათნახევრით ადრე, მინდვრის მოსასინჯად გამოსული კოსტუმიანი შვედები და პიჟამოიანი დანიელები რომ დაენახათ. აბა, იქ ატყდა სალამი და ერთმანეთის მოკითხვა, თუ ატყდა. კაი ტკბილი საუბრები, ერთმანეთზე გადახვევები, მხარზე ხელის ტყაპუნი, უცნობთა გაცნობები და მთელი ამბები. მაგრამ ეს ყველაფერიც ნორმალური და ადამიანური იყო. ძნელად რომ მოძებნო საშუალო გუნდი, იქ რომ თითო შვედი და დანიელი არ იყვნენ. ნაცნობობა და ამხანაგობა კი ისეთი რამ არის, რომ ეს სურათი ეჭვს მხოლოდ ძალიან მოწადინებულს გაუჩნდება.

ასე იყო თუ ისე, შვედების მეორე გოლი ნაღდი იყო. ორი დანიელი გაალმასებით ჩაუწვა ბურთს, ოღონდ ჩაწოდება მაინც გავიდა და სორენსენმა ის ხელში ვერ დაიჭირა. ნუ, ვერ დაიჭირა, რას იზამ. სამხრეთში ვერდაჭერს მხოლოდ საჭანკებო ვერდაჭერად აღიქვამენ. მანამდე რომ ზედიზედ [illegible] აუღო შვედებს, ის არავის გაახსენდება.

იტალია კი გავარდა. ეს ყველაფერი ხმაურითა და გამოუძიებელი სკანდალით მოხდა. მაგრამ განა შეიძლება იტალია სხვაგვარად გავარდეს?!

საყურადღებო კი ის არის, რომ მეორე ლათინური გუნდი გამოეთხოვა ჩემპიონატს. დარჩნენ მხოლოდ მასპინძლები, რომლებსაც დღეს აქვთ ბევრის გადამწყვეტი თამაში ინგლისთან. გარი ნევილი თავის მანჩესტერელ ამხანაგს, კრისტიანო რონალდოს უფრთხის, ჟორჟე ანდრადე კი უეინ რუნის. „ეშტადი დუ ლუზზე", ცხადია, ყველა ბილეთი გაყიდულია. ჯერ კიდევ, დიდი ხნის წინ, თუმცა სპეკულანტებიც არ არიან უქმად და ყურში წარამარა ჩაგესმის, თიქეთ, თიქეთ ფორ ინგლენდ, თიქეთ ფორ ინგლენდ. სწორედ ისე, როგორც ერთ დროს ჭახჭახებდა თუთიყუში კაპიტანი ფლინტი ერთ ძველ წიგნში.

პორტუდან ლონდონს გადაბარგებული ჟოზე მურინიუ აბრამოვიჩის მილიონებით ზურგგამაგრებული, ძუნწად, მაგრამ მაინც აქებს ზოგიერთ ფეხბურთელს. სტივენ ჯერარდში 35 მილიონი გირვანქის გამღები ვართო, მისი მოწოდებით აცხადებს „ჩელსის" უფროსობა. ისა და ფრენკ ლამპარდი ერთმანეთისთვის დაბადებულანო. ახლა კი ისიც მოთვალეთ, რომ უეინ რუნის, ვის საქებრადაც ერიკსონი სიტყვებს არ იშურებს, „ევერტონი" მხოლოდ 50 მილიონად შეელევა და ყველა მაინც აბრამოვიჩის სიტყვას ელის, რადგან სერ ალექსი მხოლოდ ამის ნახევარს სთავაზობს მერსისაიდელებს. ოღონდაც, ჯერ რა დროს ყიდვა-გაყიდვაა. ჯერ პორტუგალია ხვდება ინგლისს ამ დიდებულ სტადიონზე, სადაც კვარცხლბეკის გარეშე დგას ეუსებიოს ძეგლი.

— ჩვენ შენ გიყიდით ეუსებიოს.

— გახსოვთ არა, როგორ ჰპირდება ნინო მანფრედის გმირი დუდუ წმინდა იანუარიუსს დიდ გამარჯვებას.

ეჰ, ნინო მანფრედი ზედ ევრო 2004-ის დაწყების წინ გარდაიცვალა.

უკეთესი ფეხბურთის მოლოდინით გემშვიდობებით.



ჰელე ერთია და შავია

მეოთხედფინალი. დღეს

ლისაბონი. ლუზი. 23.45

პორტუგალია – ინგლისი

სავარაუდო შემადგენლობები

რიკარდუ; მიგელი, ჟორჟე ანდრადე, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე; ფიგუ, კოშტინია, მანიშე (ან პეტიტი); დეკო; კ. რონალდო, ნუნუ გომეში	ჯეიმსი; გ. ნევილი, ტერი, კემპბელი, ე. კოული; ბექემი, ლამპარდი, ჯერარდი, სქოულზი; ოუენი, რუნი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)



ლუიშ ფელიპე სკოლარი



სვენ გორან ერიკსონი

ყველა თინეიჯერი ჰიპ-ჰოპის მოსმენით როდი იქმნის ილუზიას, რომ დიდ საქმეს და თემებს არის შეჭიდებული, ზოგი მართლა შეჭიდებულია, მაგალითად, პორტუგალიელი კრისტიანო რონალდო და ინგლისელი უეინ რუნი, რომლებიც დღეს ევრო 2004-ის მეოთხედფინალში_დღეს პორტუგალია — ინგლისია

დავახასიათოთ ცალცალკე:

უეინ რუნი 18 წლის ფორვარდია, რომელმაც ინგლისის ნაკრები რვა საუკეთესოთა შორის ოთხგოლიანი წვლილით შეიყვანა. რუნის აკვირდებიან, მის თამაშს მეტოქეთა მწვრთნელები ყურადღებით სწავლობენ და დითირამბებს უმღერიან, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

კრისტიანო რონალდო 19 წლის გარემარბია. ის გახლდათ პირველ ტურში საბერძნეთის ნაკრების კარში პორტუგალიელთა პრესტიჟის გოლის ავტორი და მოთამაშე, რომლის მოულოდნელი გადაწყვეტილებები ნებისმიერ მეტოქეს დაამარცხებს.

და სწორედ ეს ორი ყმაწვილი იქნება დღეს ყურადღების ცენტრში. ეს „ლუჟის“ სტადიონზე მოხდება, სადაც ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან გუნდები, რომელთაც პირველი შეხვედრა წააგეს, შემდეგ კი გამოასწორეს მდგომარეობა.

გავიხსენოთ პირველი თამაშები. პორტუგალიამ საბერძნეთთან სრულიად მოულოდნელად გაუშვა ორი გოლი, ხოლო ერთი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კრისტიანო რონალდოს თავური ბოლოწამსღა გაიტანა. მეორე დღეს ინგლისმა საფრანგეთთან გახსნა ანგარიში პირველ ტაიმში და საქმე თითქმის ბოლომდეც მიიყვნა, მაგრამ მოგეხსენებათ, თითქმის არ ითვლება და მსაჯის დამატებულ წუთებში ზინედინ ზიდანის ორი გოლის ძალით მანაც წააგო.

მეორე ტურში პორტუგალიამ რუსებს სძლია 2:0, ხოლო ინგლისმა შვეიცარიას 3:0 უთავაზა, მესამე შეხვედრები კი დღევანდელ მეტოქეებს ასე გამოუვიდათ: პორტუგალიელებმა ესპანეთს 1:0 მოუგეს და მეოთხედფინალის გზა გაიკაფეს, ინგლისელებმა კი ხორვატებს სძლიეს 4:2 და „ლუჟზე“ მიუსკუპდნენ ჩემპიონატის მასპინძლებს.

და რა ვიცით დღევანდელი შეხვედრის შესახებ წინასწარ? ალბათ, უპირველეს ყოვლისა ის, რომ ზემოხსენებული რონალდო, რომელიც პირველ და მეორე ტურებში სათადარიგოთა სკამიდან შედიოდა თამაშში, ახლა სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში იქნება, ხოლო მისი თანაგუნდელი „მანჩესტერ იუნაიტედში“, ინგლისელი მცველი გარი ნევილი და არსენალელი ეშლი კოული მეტისმეტად ფხიზლად უნდა იყვნენ, იგი რომ არ დაუსხლტეთ.

პორტუგალიელთა თავდასხმაში დისკვალიფიცირებული პაულეტას მაგივრად ითამაშებს ნუნუ გომეში, რომელიც ესპანელებთან მატჩში გვიან ჩაერთო, მაგრამ გამარჯვების გოლი შეაგდო.

ხოლო ინგლისელები იმავე სასტარტო შემადგენლობით ითამაშებენ, რომლითაც შვეიცარიას და ხორვატიას მოუგეს. ინგლისელი ჟურნალისტების მტკიცებით, მათი შვედი მწვრთნელი, სვენ გორან ერიკსონი, შემადგენლობას იმის მიხედვით კი არ არჩევს, რომელი ფეხბურთელი როგორ ფორმაშია, არამედ ტაქტიკიდან გამომდინარე.

და აი, ახლა მივადექით დანაპირებს — რუნიზე ნამღერ დითირამბებზე, უფრო სწორად კი მათ გაბათილებაზე გვინდა მოგახსენოთ. შეგახსენებთ: ხორვატებთან გამარჯვების შემდეგ სხარულისგან მეცხრეცაზე მყოფმა ერიკსონმა რუნი არც აცია, არც აცხელა და პელეს შეადარა, ხოლო ინგლისურმა გაზეთებმა შედარება სიამოვნებით აიტაცეს და იმეორეს და იმეორეს. ამის მომსმენმა და შემყურე პორტუგალიელთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ასე თქვა:

„არა, პელე შავია, რუნი — თეთრი — შემდეგ კი განაგრძო — რუნი ძალიან მომწონს, მაგრამ პელე? პელე ერთი იყო და მისი ბადალი არასდროს არავინ იქნება. მის მსგავსს კომპიუტერითაც ვერ შექმნით. რაც შეეხება რუნის, ჩემს ფეხბურთელებს მისი დიდი პატივისცემა აქვთ და იციან, რომ მისი თვისებები შესაძლოა, ჩვენთვის საბედისწერო აღმოჩნდეს, მაგრამ ის მარტო ხომ არ თამაშობს, იგიც ხომ გუნდის წევრია, აი, ოუენი და ბექემი ვარსკვლავობაზე არ დარდობენ და გუნდისთვის თამაშობენ, რასაც მე განსაკუთრებულ პატივს ვცემ“.

პაპუნა კეკელია

უეინ რუნი

კრისტიანო რონალდო

გომეშის სახელობის ნუნუ გომეში

ოთხი წლის წინ, ევროპის ჩემპიონატზე ნუნუ გომეში სათადარიგო ფეხბურთელად წაიყვანეს. მაშინ ინგლისთან მატჩისთვის პორტუგალიელებს ორი მთავარი ფორვარდი დაუშავდათ და მწვრთნელმა გომეში ძირითად შემადგენლობაში გაამწესა. ახალგაზრდა თავდამსხმელმა ინგლისელებს მესამე, გამარჯვებისა გაუტანა და მას აქეთ 43 სანაკრებო შეხვედრაში 21 გოლი მოუგროვდა. ამჯერად ესპანეთთან თამაშში სწორედ მან შეძლო პორტუგალიელთა გახარება, როცა შეცვლაზე შესულმა იკერ კასილიასს ბურთი კარის კუთხეში ჩაუსვა და გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა. გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს ნუნუ გომეშთან, რომელიც ესპანეთთან მატჩის შემდეგ გამოქვეყნდა.

— ევრო 2000-ზე ფრანგებთან ნახევარფინალურ მატჩში მსაჯთან კამათი ძვირად დაგიჯდათ...

— ის ჩემპიონატი ჩემთვის ჯერჯერობით ყველაზე წარმატებულია, მაგრამ იმავდროულად ავადმოსაგონარიც. მსაჯს მაისურა ვესროლე, რისთვისაც რვათვიანი დისკვალიფიკაცია ამკიდეს. ასე რომ არ მომხდარიყო, ახლა გაცილებით მეტი სანაკრებო გოლი მექნებოდა გატანილი. მას შემდეგ ვცდილობ, რომ მოედანზე აღარ „ავფეთქდე“.

— ზოგჯერ უცნაური გოლები გაგაქვთ, ზოგჯერ კი მარტივ ვითარებაში ცდებით. ესპანეთთან გოლი გაიხსენეთ...

— ამ შემთხვევაში უცნაური არაფერი მომხდარა. ჩემმა ზუსტმა დარტყმამ მეოთხედფინალში გაგვიყვანა და გოლი ამითაა ძვირფასი. ბურთი მივიღე, კარს კარგად ვერც გავხედე და მთელი ძალით მოვუქნიე ფეხი.

— პირადად თქვენ ჩემპიონატისგან რას ელით?

— ფინალის მეორე დღეს 28 წლის ვხდები. ეგებ ჩემთვის ბოლო ევროპის ჩემპიონატიც იყოს, ამიტომ კარგი იქნება, ბომბარდი თუ გავხდები, მაგრამ ყველაფერს დავთმობ, ოღონდ ფინალში გავიდეთ და მოვიგოთ.

— რამდენი წლის იყავით პირველად საფეხბურთო გუნდში რომ მიგიღეს?

— პორტუდან 70 კილომეტრში მდებარე ქალაქ ამარანსეში დავიბადე და 15 წლამდე ბურთს ეზოში დავდევდი, შემდეგ კი „ბოავიშტას“ სკოლაში ჩამრიცხეს.

— გომეში ხომ ფსევდონიმია?

— დიახ. ჩემი სრული სახელია ნუნუ მიგელ სუარი პერეირა რიბეისუ, ხოლო გომეში პორტუგალიის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვადის, ფერნანდო გომეშის პატივსაცემად თავად მივისაკუთრე. ბავშვობიდან მისი თაყვანისმცემელი ვიყავი და ყველაფერში ვბაძავდი.

— ჰობი გაქვთ?

— ალბათ უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ავტომობილებზე არ ვგიჟდები, დისკოთეკებზე და ღამის კლუბებში არ დავდივარ. ჩემთვის მთავარია ოჯახი და ფეხბურთი, ისე კი, ინტერნეტში ქექვა მსიამოვნებს და საკუთარი ვებ-გვერდიც გავაკეთე.

EURONEWS





იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატს გამოეთიშა. დაგვეთანხმებით, ეს საკმაოდ მსხვილი ამბავია, რათა ჩუმად ჩაიაროს, მით უფრო, რომ „სკუადრა აძურას“ ჯგუფში ჩატოვება მისი და ბულგარეთის (2:1) შეხვედრის პარალელურ, სკანდინავიურ დაპირისპირებაში დანიელთა და შვედთა 2:2-მა განაპირობა, 2:2 კი სწორედ ის ანგარიში გახლდათ, წინასწარვე გარიგებულად რომ იყო ბევრის მიერ გამოცხადებული. და ატყდა კიდეც ამბავი

იტალიური ვენდეტა

სკანდინავიელებს 2:2 არ შერჩებათ

„შემდეგ ეტაპზე ასე გასვლა სამარცხვინოა — დაუწუნა დანიელებსა და შვედებს გზა და ხერხი იტალიელთა მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა — არ მომერიდება და პირდაპირ ვიტყვი: ძალიან მსიამოვნებს, სწორედ ფეარ პლეის რეპუტაციის მქონე ქვეყნებს რომ ჩამოეხსნათ ნიღაბი“.

შეგახსენებთ, რომ შეხვედრის წინა დღეებში, როდესაც იტალიელთა ბანაკში გამოითქვა შეშფოთება, რომ სკანდინავიელებმა შესაძლოა 2:2-ზე მოილაპარაკონ, დანიელთა და შვედთა საპასუხო რეაქცია საკმაოდ მრისხანე იყო: თამაშის ჩაწყობა სკანდინავიური წესი არ არის, ეს თქვენ, იტალიელები ამბობთ იმას, რასაც თავად იზამდითო.

„ახლა მესმის რაც ხდება. ჩვენ ყოველთვის გულწრფელად მივუთითებთ საკუთარ ნაკლზე, ბოლოს კი ირკვევა, რომ სხვა ქვეყნებში უარესი ხდება, უბრალოდ იქ ამაზე არ ლაპარაკობენ — განაგრძო ბუფონმა — სრულიად გულწრფელად შემიძლია ვთქვა, მე რომ მათ ადგილზე ვყოფილიყავი, თამაშს არ ჩავწყობდი, რადგან ეს ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის ღირსების შელახვა იქნებოდა, მე მეკარე ვარ და ორი გოლის გაშვება არასდროს და არავითარ ვითარებაში არ მსურს, შვედებს და დანიელებს კი აი, რას ვეტყვი: ფეხბურთი დიდი ბორბალივითაა, იქ ყველაფერი ყველასთვის მეორდება“.

„იმ ხალხის გასაგონად მინდა ვთქვა, ვისაც დაუჩემებია, რომ იტალიური ფეხბურთი ჭაობშია და იქ ბევრი არალეგალური რამ ხდება. შეხედეთ, ბევრი სხვა ქვეყნის ფედერაციაც ისევე და უარესადაა გაფუჭებული — განრისხდა იტალიურ ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდა ჯიჯი რივა — ხომ ნახა ყველამ საკუთარი თვალით, როგორი სპექტაკლი დადგეს ამ შეხვედრის მონაწილეებმა, როგორი სიხარული გაითამაშეს, როდესაც ანგარიში გახსნეს და მერე, როდესაც გაათანაბრეს“.

აღშფოთდა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარაროკ. პრესკონფერენციაზე დამსწრე ჟურნალისტებმა ყურადღება მიაქციეს, რომ იგი თითოეულ სიტყვას სწონიდა, რათა აზრი ზუსტად გამოეხატა:

„მატჩის ცქერისას აშკარა იყო, რომ გუნდები ფრედ აპირებდნენ თამაშს, ბუნებრივია, ასეთი მოსაზრების დამტკიცება ძნელია, მაგრამ ჩვენ ხუთი ქულა მოვაგროვეთ და მაინც გავვარდით. მოკლედ, ჩემპიონატს თავაწეულნი ვტოვებთ, შვედებმა და დანიელებმა კი რცხვენოდეთ, რადგან ჩვენ ვერ დაგვამარცხეს და მაინც მეოთხედფინალში მოხვდნენ, ეს განსაკუთრებით შვედებზე ითქმის, რომელთაც აშკარად ყველა ასპექტში ვაჯობეთ. მოკლედ, ევროპის ჩემპიონატს ორი მიზეზის გამო ვემშვიდობებით. პირველი, იმიტომ, რომ საგოლე მომენტები გავუშვით ხელიდან და მეორე — კალენდარმა ითამაშა საბედისწერო როლი. გადამწყვეტი თამაში შვედეთი — იტალია ან დანია — იტალია რომ ყოფილიყო, სხვა შედეგი იქნებოდა“.

მომხდარ დრამასა თუ ტრაგედიაზე თავისი აზრი გამოთქვეს ფეხბურთელებმაც. კერძოდ, მარკო მატერაციმ, რომელიც ბულგარელ დიმიტარ ბერბატოვთან ორთაბრძოლაში პენალტით დასჯეს, განაცხადა:

„შვედებთან შეხვედრაში იბრაჰიმოვიჩის გვიანი გოლი რომ არ გაგვეშვა და უფრო პატიოსან ჯგუფში ვყოფილიყავით, დღეს ყველა იტალიის დიდ ნაკრებზე ილაპარაკებდა. პენალტის მომენტში კი ბერბატოვი მაისურზე მქაჩავდა და წამაქცია. სასტვენის ხმა რომ გავიგონე, ვიფიქრე, რომ მსაჯმა ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა. აგრეთვე ვერ დავიჯერე ანტონიო კასანოს აშკარა წაქცევისთვის ბულგარელების კარში პენალტი რომ არ დაინიშნა. პირველ თამაშში, ცხადია, ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მეორე და მესამე ტურებში უბრალოდ არ გაგვიმართლა“.

ხოლო მასიმო ოდო, რომელიც შეხვედრაში მოგვიანებით ჩაერთო, თანაგუნდელთაგან განსხვავებულ აზრზეა:

„დღეს კამთი ცოტა უაზრობად მეჩვენება, თორემ ისე ყველაფერი გავიღეთ, ოღონდ დაშვებზე მეტი შეცდომაც მოგვივიდა. ჩვენ პროფესიონალები ვართ და, მართალია, მწვრთნელის საქმეა ძირითადში ვის ათამაშებს, ჩვენი საქმეა საკუთარ ძალაში დავარწმუნოთ და შემადგენლობა შევაცვლევინოთ. მოკლედ, ლაპარაკი იქითკენ მიმყავს, რომ ამ გავარდნაზე პასუხისმგებლობა ყველამ უნდა გავიზიაროთ, მეკარემაც, მცველებმაც, ნახევარმცველებმაც და თავდამსხმელებმაც. შეცდომები ჩვენ გუნდში დავუშვით და სხვებისთვის რამის დაბრალება სწორი არ არის“.

მარკო მატერაცი დიმიტარ ბერბატოვის წაქცევას უარყოფს

და ბოლოს, მოვუსმინოთ „სკუადრა აძურას“ მწვრთნელს ჯოვანი ტრაპატონის, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტის მსგავსად მიაჩნია, რომ მას და მის გუნდს სრული უფლება აქვთ ამაყად თავაწეულებმა დატოვონ პორტუგალია.

„ჩვენ ბოლო შეხვედრაში გავიმარჯვეთ და თავაწეულები ვტოვებთ აქაურობას. გამარჯვება სრულიად დამსახურებული გახლდათ. ასევე დამსახურებული იქნებოდა შვედებთანაც რომ მოგვეგო. ჯგუფიდან იბრაჰიმოვიჩის იმ წარმოუდგენელი გოლის გამო ვერ გავედით, რაც ძალიან გულდასაწყვეტია, რადგან ჩვენგან ძალიან ბევრს ელოდნენ“.

შემდეგ ტრაპს, რომელსაც საკლუბო ფეხბურთში მწვრთნელად მუშაობისას ყველა შესაძლო ჯილდო აქვს მოპოვებული, უშუალოდ ბულგარეთთან თამაშზე ჰკითხეს.

„უფრო იოლად უნდა მოგვეგო, უბრალოდ დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩვენს კარში პენალტი სამართლიანად დაინიშნა, რაც შეეხება კასანოს და ვიერის წაქცევას, ასეთი ეპიზოდების განსჯა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ თამაშის მანძილზე იყო მომენტი, რომელიც წესის დარღვევას ჰგავდა“.

და, ცხადია, ვეტერან ტაქტიკოსს შვედეთისა და ბულგარეთის 2:2-ზეც ჰკითხეს.

„არა მგონია შვედების და დანიელების მატჩი ჩაწყობილი ყოფილიყო და საერთოდაც, ამაზე ლაპარაკი სწორი არ მგონია“.

პაპუნა კედია



ტრაპი წავიდა, ლიპი მოვიდა

„დამთავრდა, ჩემს კონტრაქტს ვადა 15 ივლისს ეწურება და მე მისი გახანგრძლივების აზრს ვერ ვხედავ, თუმც ეს სიმბოლური ჟესტი იქნებოდა“ — ამბობს ჯოვანი ტრაპატონი, იტალიის ნაკრების მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობით „სკუადრა აძურა“ ევროპის ჩემპიონატს ჯგუფური ეტაპიდანვე გამოეთიშა, თუმცა გამოეთიშა ფრიად საინტერესოდ: მარცხის გარეშე, ორი ფრით და ერთი გამარჯვებით.

და მაინც, საყოველთაო აღიარებით ტრაპს პორტუგალიაში სუსტი გუნდი ჰყავდა წაყვანილი. შეგახსენებთ, ტრაპატონის ხელმძღვანელობითვე ითამაშეს იტალიელებმა ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე შორეულ აღმოსავლეთში.

„ვფიქრობ იმაზე, რაც იაპონია-კორეაში მოხდა და იმაზეც, რაც გუშინ გადაგვხდა თავს. ვფიქრობ და მიკვირს, რადგან მე, როგორც მწვრთნელს, საკლუბო დონეზე იღბალი მწყალობდა, ხოლო ნაკრებში ფორტუნამ აბსოლუტურად მაქცია ზურგი. ამიტომაც, შეიძლება საკლუბო ფეხბურთს დავუბრუნდე. ერთი სიტყვით, სხვა სკამზე გადავჯდომა ჩემთვის პრობლემა ვერ იქნება, რადგან მთელი ცხოვრება ამას ვაკეთებ“.

ამის შემდეგ კი ტრაპმა თავისი ფეხბურთელები აქო, ალესანდრო დელ პიეროსაც ფრიად დაუფასა გარჯა და ანტონიო კასანოც დიდ მოთამაშედ შერაცხა, თუმცა ჩვენთვის სხვა რამ არის მნიშვნელოვანი: ვინ იქნება იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელი?

მარჩელო ლიპი, რომლის დანიშვნის ამბავი ოფიციალურად ხვალ გამოცხადდება! — ასეთია ერთადერთი სწორი პასუხი. „იუვენტუსის“ ყოფილი თავკაცი „სკუადრა აძურას“ ორი წლით უთავკაცებს. ტაქტიკოსის ხელფასი იქნება იმაზე ნაკლები, რასაც იგი „იუვენტუსში“ იღებდა და იმაზე მეტი, რასაც ტრაპატონი იღებდა. ტრაპის ხელფასი წელიწადში 1,08 მილიონი დოლარის ტოლფასი გახლდათ.

პაპუნა კედია



EURONEWS

საბერძნეთი ძილშიც ვარჯიშობს

ზიდანი რომ დაგესიზმრება, ნახევარფინალში გახვალ

ოტო რეჰაგელმა თავის შეგირდებს უთხრა, ზიდანი და მისი თანაგუნდელები თუ დაგესიზმრათ, ნუ შეშინდებითო. საბერძნეთმა პირველად გააღწია ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში და ახლა ფრანგებთან ჭიდილს აპირებს.

ოტო რეჰაგელს ჟაკ სანტინის საფრანგეთის არ ეშინია

„ჩემი ფეხბურთელები ძილის დროსაც კი მეტოქეზე ფიქრობენ. მათ კარგად იციან მოწინააღმდეგის ავანჩავანი. რომელიმე მძინარეს ყურში ანრი რომ ჩავძახო, მაშინვე წარმოიდგენს, ვისთან ელის ბრძოლა. ვფიქრობ, რუსეთთან დაშვებულ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ, რადგან რუს ფეხბურთელებს არ ვიცნობდით, ფრანგები კი შესწავლილი გვყავს. დასაკარგი არაფერი გვაქვს, ამიტომ ლაღად ვითამაშებთ. ევროპის ჩემპიონატზე ნებისმიერი მატჩი ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს და შესაძლოა, ფეხი ჟაკ სანტინის გუნდსაც დაუცდეს. საფრანგეთი ამხანაგურად სათამაშოდ რომ დაგვეპატიჟა, ძვირი დაგვიჯდებოდა, ახლა კი ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრები მეტოქედ მუქთად გვერგო“ — ასე ხალისიანად დაასრულა მონოლოგი გერმანელმა მწვრთნელმა.

ზისის ვრიზასი ორი გაფრთხილების გამო ხვალინდელ მატჩს გამოტოვებს: „მე ვერ ვითამაშებ, მაგრამ მჯერა, გუნდი მოსაგებად იბრძოლებს. ვიმედოვნებ, ნახევარფინალში გავაღწევთ და ნაკრებს იქ დავეხმარები“.

უეფამ შესაძლოა, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას ფულადი ჯარიმა გამოუწეროს. რუსებთან დამარცხების შემდეგ გახარებული გეორგიოს კარაგუნისი ეროვნული დროშით მოედანზე შევარდნილა, რაც წეს-კანონით აკრძალულია. კარაგუნისს თავად იმ მატჩში არ უთამაშია, რადგან დისკვალიფიცირებული იყო და სათადარიგოთა სკამიდან წამომხტარა. ნაკრების წარმომადგენლებმა მოზეიმე ფეხბურთელი უკანვე გაიყვანეს, მაგრამ მატჩის დირექტორს პატაკში ეს ამბავი ჩაუწერია.

შვეიცარიასთან მოგების შემდეგ ჟაკ სანტინის შინაურმა მედიამ წაჩხვლიტა. „სამფეროვანთა“ თავკაცს ეწყინა და საპასუხოდ პრესკონფერენცია გამართა: „ჩვენგან რატომღაც ყოველთვის 4:0-ით მოგებას ითხოვენ. სულ ეს მესმის და გაზეთებშიც იგივეს ვკითხულობ. ყველას ლამაზად მოგებული თამაშის ნახვა სურს, რაც ჩემთვის სავსებით გასაგებია, მაგრამ 90 წუთის განმავლობაში მუდმივად შეტევა ძალიან ძნელია. დარწმუნებული ვარ, ესპანეთის პორტუგალიასთან დაცვაში უფრო ყურადღებით რომ ეთამაშა და წინ თავქუდმოგლეჯილი არ წასულიყო, ახლა მეოთხედფინალში იქნებოდა. ჩვენ ჯგუფიდან გავედით და ჩემპიონობისთვის ვიბრძვით, მეტი რაღა გინდათ?“ — იკითხა გაოცებულმა სანტინიმ.

რობერ პირესი მწვრთნელს გამოექომაგა: „ეს ევროპის ჩემპიონატია და აქ გაცილებით რთულია თამაში, ვიდრე მუნდიალზე. სამწუხაროა, რომ ქომაგებს ამის გაგება უჭირთ. ამჟამად საუკეთესო ფორმაში არ ვართ, მაგრამ გარწმუნებთ, მე და ყველა ჩემი თანაგუნდელი თავს არ დავზოგავთ, რათა ოთხი წლის წინანდელი წარმატება გავიმეოროთ“.

„არსენალის“ ნახევარმცველის აზრით, ფრანგებმა ტაქტიკა უნდა შეცვალონ. „ჩვენი მეტოქეები ყოველთვის ერთ გზას ირჩევენ — ისინი დაცვაში რვა-ცხრა ფეხბურთელს გვახვედრებენ და კონტრშეტევაზე გვეთამაშებიან. ასეთ დროს მასიური დაცვის გავლა ძალიან ძნელია. ეგებ სჯობდეს, რომ თავად დაველოდოთ მოწინააღმდეგეს და ანრის ან ლუი საჰას სისწრაფე გამოვიყენოთ. საბერძნეთი იმავე ტაქტიკას მიმართავს, რომლითაც პორტუგალია დაამარცხა. ჩვენთვის უკეთესი იქნება, მათ ბურთს თუ დავუთმობთ და ვაიძულებთ, აქეთ შემოგვიტიონ“.

განსხვავებული აზრი აქვს ბიქსენტ ლიზარაზუს: „საფრანგეთი არის გუნდი, რომელიც ყოველთვის შეტევაზე ფიქრობს. ჩვენ გვეჯავრება და არ შეგვიძლია მოცდა. ეს საფეხბურთო კულტურის ნაწილია და ვერ ვუღალატებ იმას, რაც სისხლში მაქვს“.

„ბაიერნის“ მეორე მცველს, ვინი სანიოლს კი არ გაუმართლა, შვეიცარიასთან მატჩში ხელი მოუტეხია და მის გამოჯანმრთელებას დაახლოებით ორი თვე დასჭირდება. მსუბუქად არის დაშავებული პატრიკ ვიეირა. „მეთოფეს“ მარცხენა ბარძაყის კუნთი სტკივა, თუმც სავარაუდოდ, ხვალისთვის მზად იქნება.

შვეიცარიასთან შეხვედრაში შეცვლაზე შესულმა ლუის საჰამ 15 წუთში ერთი საგოლე პასი მოასწრო და ანრის მეორე გოლის გატანაში თავისი ჭკვიანური მოქმედებით დაეხმარა. გამორიცხული არაა, ჟაკ სანტინიმ ტრეზეგეს საჰ ა ამჯობინოს, თუმც ეს მხოლოდ ფრანგული მედიის ვარაუდია

ვაჟა ხუციშვილი

გეორგიოს კარაგუნისს სიხარული არ შეარგეს

ყველაფერი თვლითაა, ტარანიც და უცხოელი ფეხბურთელიც. ახლა, რა ვიგულისხმეთ: ვილაც კეთილ ადამიანს თავში აზრად ევროპის ჩემპიონატში მონაწილე იმ ფეხბურთელების დათვლა და ჩამოწერა მოუვიდა, რომლებიც სხვაგან დაიბადნენ და სხვა ქვეყნის ნაკრებში თამაშობენ. გამოვიდა, რომ პორტუგალიაში სათამაშოდ ჩასული 386 მოთამაშიდან 32 თავისი ამ ქვეყნად მოვლენის ადგილს არ ემსახურება, ხოლო ადგილობრივი ფეხბურთელებით მხოლოდ სამი ქვეყანა, ჩეხეთი, დანია და ესპანეთია დაკომპლექტებული.

სადაც ვუობილვარ, გავზრდილვარ... და არ მიგორებია ბურთი

ბრაზილიელ-პორტუგალიელი დეკო

სურინამელ-ჰოლანდიელი კლუივერტი



განელი ფრანგი დესაი

და აბა, თუ მიხვდებით, რომელ ნაკრებში თამაშობს ყველაზე მეტი სხვაგან დაბადებული? ნუ იწვალებთ, რადგან ალბათ საფრაგეთს იტყვით, მაშინ, როდესაც ასეთი ნაკრები ხორვატიისაა. დავიწყოთ მცველთა ტრიოთი: სტიეპან ტომაში, მარკო ნერეტლიაკი და ბორის ჟივკოვიჩი ბოსნია-ჰერცეგოვინაში არიან დაბადებულნი, ძმები კოვაჩები, ნიკო და რობერტი — გერმანიაში, იქიდანვეა ივან კლასნიჩიც, ხოლო მეკარე ჯო დიდულიცა და კიდევ ერთი მცველი, იოსიპ შიმუნიჩი ავსტრალიაში შობეს დედებმა.

აი, ახლა გადავიდეთ ევროპის ჯერ კიდევ ჩემპიონებზე. დავიწყოთ: ლილიან ტურამი გვადალუპეში დაბადებულა, ჟან ალან ბუმსონგი კამერუნში, პატრიკ ვიეირა სენეგალში, კლოდ მაკელელე კონგოდან გახლავთ, ხოლო მარსელ დესაი, ადამიანი ვისაც საფრანგეთის ეროვნული გუნდის მაისურა ყველაზე მეტჯერ, 120-ჯერ აქვს ჩაცმული და უკვე 35 წლისაა, განაშია ქვეყნად მოვლენილი.

და არ გაგიკვირდეთ, ფრანგების შემდეგ ჰოლანდიელები რომ დავასახელოთ. თუმცა რა არის გასაკვირი, სამხრეთ ამერიკაში მდებარე რესპუბლიკა სურინამის ამბავი ხომ ყველამ იცის, აქედან არიან ედგარ დავიდსი და კლარენს ზეედორფი, ორი ყველაზე ნაღდი „ორანიე“.

თუმცა რაც აქამდე ითქვა, გასაგებია, ხოლო რაც შეეხება ისეთ ქვეყანას, როგორიც გერმანიაა, მის ნაკრებში „უცხოელების“ ყოლა ცოტა გაუგებარია. გერმანიაში ასეთი მდგომარეობაა, ფრედი ბობიჩი სლოვენიაშია შობილი, კევინ კურანი ბრაზილიაში ლუკას პოდოლსკი და მიროსლავ კლოზე კი პოლონეთში.

ბულგარელების თავისებურება კი სხვაა. კერძოდ, მათ გუნდში თამაშობენ სერბები, ზლატომირ ზაგორჩიჩი, ზორან იანკოვიჩი და პრედრაგ პაჟინი. ისინი აქამდე ნახსენებთაგან განსხვავებით საკმაოდ დიდ ასაკში გაბულგარელდნენ.

რუსეთში იყვნენ უკრაინელები ანდრეი კარიაკა და ევგენი ალდონინი, ხოლო როლან გუსევი თურქმენეთშია დაბადებული.

შემდეგ: ოუენ ჰარგრივსი კანადაშია დაბადებული და გერმანიაში ცხოვრობს, თუმც სანაკრებოდ ინგლისი აურჩევია, ხოლო დიმიტრიოს პაპადოპულოსი ყაზახეთიდანაა ევროპაში გადახვეწილი.

კიდევ შეიძლება ვილაპარაკოთ არგენტინელ მაურო კამორანეზიზე იტალიის ნაკრებიდან, რუსეთში შობილი ლატვიელ მიხალის მიხოლაპსზე, ბრაზილიელ-პორტუგალიელ დეკოზე, საფრანგეთში დაბადებულ შვედ ტობიას ლინდეროტზე, ავსტრიაში გაჩენილ ბერნტ ჰაასზე და მის შვეიცარიელ თანაგუნდელ იოჰან ვონლანტენზე, რომელიც... კოლუმბიაში დაიბადა, ხოლო ორი დღის წინ ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მეგოლედ იქცა.

პაპუნა კედია

eurofan2004@hotmail.com

რასაც მიეძღვნება დღევანდელი მიმოხილვა, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. იტალია გავარდა, არადა, წერილების უმრავლესობა, რომლებსაც თქვენგან აქამდე ვიღებდი, სწორედ „სკუადრა აძურას“ მხარდამჭერთაგან მომდიოდა. ერთი სიტყვით, დღევანდელი მიმოხილვა სევდიანი იქნება.

ადამიანთა სევდა

ამ სამიოდე დღის წინ **VASHAKIDZE**-ს წერილი დავბეჭდეთ, ვინაც იტალიის თავგადაკლულ ფანია და სხვა ნაკრებთა ქომაგებს ემუქრებოდა, ფინალის დღეს დავილაპარაკოთო.

ახლა **VASHAKIDZE** წერს: „სარბიელს“ გაუმარჯოს! დარწმუნებული ვარ, მოასკდება ნიაღვარივით იტალიის და ტრაპატონის საგინებელი წერილები და მეც მანდა ვარ, ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც იტალიას ქომაგობდა. მაგრამ ახლა ვამბობ, ამ გუნდს რომ ვუყურებ, მრცხვენია თუ რატომ ვქომაგობდი მათ. საზიზღარი, გულისამრევი თამაში, კლიმაქსიანი ტრაპატონი, უხეში, უზრდელი და სრულიად უვიცი, უაზრო მატერაცი. მოკლეფეხება, არაფრისმაქნისი, ცრუფეხბურთელი და ვითომ ვარსკვლავი დელ პიერო. საერთოდ, რა უნდათ მაგათ ნაკრებში. ვიერის ფეხბურთის თუ თავბურთის თამაში სულ დავიწყებია. და კიდევ, ეს უაზრო პარაშუტები რაღა იყო, მაინც ვერ გავიგე. მორჩა შვედეთი — დანია 2:2 და ცხელ გულზე ვთქვი კიდეც, იმდენი მაგათ რა ვუთხარი, რომ თამაში არ გააკეთესმეთქი. ისაკსონმა ტომასონის ლამის კოპენჰაგენიდან დარტყმული გაუშვა. თუ გააკეთეს და პროფები მართლა ეგენი ყოფილან და არა ისე, როგორც ჩვენს ჩემპიონატებში იციან თამაშების ჩაწყობები. ადრე მოვიწერე, იტალიელები პასუხს 4 ივლისს გავცემთ ყველას-მეთქი. პასუხი? სადაა პასუხი. ეგ ალბათ ტრაპატონიმ უფრო „იცის“.

P.S. ახლა კვლავ ჩემს „მილანს“ ვგულშემატკივრობ მხურვალედ. ეს კი ნამდვილად ვიცი, როსონერი იმედს ძალიან არ გამიცრუებს. ფორცა მილან! ფორცა შევა! ფორცა კახა! დიდი მადლობა „სარბიელს“. კარგად აბა, შენ იცი მისტერ ბუარა! თუ შეგხვდები სადმე, ლუდს დაგალევინებ.

VASHAKIDZE, შენ გაგახარა ღმერთმა, როგორ მიხვდი ლუდი რომ მიყვარს?! ლუდზე უფრო კი მილანელი კახას წარმატება გამიხარდება.

მომმდევნო სევდიანი წერილი **GOODMAN**-ისგან მივიღე, ეს ის კაი კაცია, მოკლეფეხება დელ პიერო აქამდე იტალიის ნაკრების ლიდერი რომ ეგონა და ახლაც იგივე თუ ჰგონია, მე ვერაფრით დავეხმარები.

— იტალიის ფანებო, ყოველთვის გვახსოვდეს, რომ „სკუადრა აძურა“ საუკეთესოა და არ დავივიწყოთ ორი სიტყვა: **Forza Italia**. მოდით, მაინცდამაინც ნუ გავკიცხავთ სკანდინავებს, ყველას თავისი ისედაც მიეზღვება. თან ეს მათი ბრალი არ არის, ჩვენ ბედმა გვაქცია ზურგი, მთავარი დამნაშავე ტრაპატონია. ნურც იმას ვიტყვით, რომ შვედეთთან მატჩის 75 წუთის გარდა „აძურა“ საზიზღარი იყო. ბოლოს ოთხი კაცი გვაკლდა და თან წვიმაც იყო, პირველად ამ ევროპის ჩემპიონატზე, ალბათ ჩვენ დაგვტიროდა. თავიდან ტოტის ცუდმა თამაშმა და საერთოდ უიღბლობამ (ტრაპის სისულელეებთან ერთად), ზოგი იტყვის, რომ ეს წვრილმანიაო და ა.შ... არა უშავს, ასეთებს რა გამოლევს. ჩვენც სასირცხვილო არაფერი გვაქვს, ერთადერთი რამ თქვა ტრაპატონიმ სწორი: თავაწეული ვტოვებთ ჩემპიონატს და სხვებს რცხვენოდეთო (ისე, თვითონაც რცხვენოდეს). მესმის, ძალიან ძნელია ასეთი თაობა ისევ რომ ჩავარდა, მაგრამ ერთი რამ უნდა შეგახსენოთ, მალე ნაკრებში შეწყდება ეს შემადგენლობის შერჩევა და ორჭოფობა. მოვა კაცი, რომელიც ყველაფერს ხუთიანზე გააკეთებს და უნდა გვჯეროდეს მომავალი მუნდიალის. ალბათ, თავადაც მიხვდით, მოვემზადოთ, წინ დიდი მარჩელო ლიპი და 2006 წელია. **Italia Per Sempre**

GOODMAN

მიხვდი, როგორ ვერ მიხვდი — იტალია ჯგუფში იმიტომ ჩარჩა, რომ ტრაპატონი გაეგდოთ და მის ადგილზე ლიპი მიეყვანათ. ლიპი კი წინდახედულად გაუშვეს „იუვედან“, ახლა რომ თქვან, ამხელა ლიპი უმუშევარია და უკეთესი მწვრთნელი სად ვეძებოთო. მოკლედ, **GOODMAN**-ი ერთხელაც ამტკიცებს, რომ „იუვეს“ ფანია.

რაღა დაგიმალოთ და პაციფისტი არ ვარ, თუმცა რასაც ჩვენი მომდევნო ავტორი natali_jg წერს, გადამეტებული უნდა იყოს.

— **Forza Italia!!! Viva Sempre!!!**

იტალია თუ გავარდა, ატომი და ღვთის რისხვაც ნუ აცდება მთელ სკანდინავიას (ეს ისე, უკიდურეს შემთხვევაში), და მერე ისიამოვნეთ დანია — ჩეხეთის სამეოთხედფინალო ჯვარირით. ნუ გრცხვენიათ იტალიურ ფეხბურთთან ქედის მოხრა. იტალიის გარეშე **VAFFANCULO SCANDINAVIA!!!**

FORZA ITALIA PER SEMPRE!!!

კარგი რა, ნატალია, ატომური ბომბი გვინდა ახლა ჩვენ?! ისე მახსოვს, იტალიამ თბილისში 0:0 რომ ითამაშა და ბაჯო შეცვლაზე შემოვიდა, წამოვხტი და დავიძახე **VAFFANCULO BAGGIO**-მეთქი. რომ ვიხსენებ, ახლაც მრცხვენია, რას ვერჩოდი ამ ლეგენდა კაცს.

ჩემმა ძველმა ძმაკაცმა **MEZVRO**-მ კი თავისი წერილი მაშინ გამომიგზავნა, როცა იტალია გავარდნილი ჯერ კიდევ არ იყო.

— სალამი იტალიის და „იუვეს“ ფანებს, მაშ ასე: სანამ ამ წერილს დაბეჭდავთ, ყველა იხილავს იტალიის თამაშს, რამდენი დაიჭამს თითებს ნერვიულობისგან... ესპანეთის ბედი არ გაიმეოროს სკუადრამ. იტალიის თამაშზე მოგვიანებით მოვიწერ ჩემს აზრს. მანამდე ამას ვიტყვი: ერთადერთი ჩეხების და პორტუგალიელების ფანებს აქვთ სადიდგულოდ საქმე ჯერჯერობით. სხვებთან შედარებით მგონი ყველაზე გამართული ფეხბურთი აჩვენეს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, არა მგონია, გულშემატკივრების დიდი არმია ჰყავდეთ საქართველოში ამ გუნდებს და ამიტომაც მათი თამაში დიდ გამოხმაურებას არ იწვევს უბრალო მაყურებელში. ერთი, ბუარა, ეს მითხარი — პაპუნა კედია ვისი გულშემატკივარია და კოსმოპოლიტურ მიმოხილვებს რატომ აღარ აქვეყნებს. დიდად ვხალისობდი მის სტატიებზე. აბა, დროებით, იმედია იტალიის გასვლით გახარებული მოვიწერ შუაღამისას წერილს.

შუაღამის **MEZVRO**-სგან წერილი აღარ მიმიღია, ხომ არ იცით რატომ? რაც შეეხება პაპუნა კედიას, მე, რა თქმა უნდა, ვიცი, ვისი გულშემატკივარიცაა, მაგრამ ეს წერილი რომ წავაკითხე, ეგრე მითხრა, ჩრდილოეთ ირლანდიისო. კოსმოპოლიტურებს კიდევ იმიტომ აღარ ვწერ, რომ თითი მტკივაო. სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ პაპუნა კედია ცრუობს — არც ჩრდ. ირლანდიის გულშემატკივარია და არც თითი ტკივა.

შუაღამისას არა, მაგრამ სამაგიეროდ, დილას მივიღე **MEZVRO**-სგან ახალი წერილი, ნახეთ, როგორ შეიცვალა შინაარსი:

— ესეც ასე, ფაფუ იტალია, მოხდა ის, რასაც ველოდი. დანია — შვედეთი 2:2. თუმცა, ვაი იტალიის თამაშს. მგონი, ტრაპის ხელში მაგათ არც მეოთხედფინალში ეშველებოდათ და კარგია დროზე რომ დაასრულეს ტანჯვა. რაღა დამრჩენია, ჩეხეთს ვგულშემატკივრობ ახლა (ნედვედი „იუვენტუსის“ კაცია). დალევა მაინც მიყვარდეს, გულს გადავაყოლებდი. სოლიდარობას გიცხადებთ ესპანეთის გულშემატკივრებო. აბა, მომავალ ევროპის ჩემპიონატამდე!

MEZVRO, იცი რა მოვიფიქრე — **VASHAKIDZE** გვპატიჟებს ლუდზე, წამოდი დალევას შეგაყვარებ. აბა, მარტო „იუვე“ უნდა გიყვარდეს?

ახლა კი იმათი წერილები წავიკითხოთ, იტალიის გავარდნამ გული რომ არ დაწყვიტა.

LEVGO215 მოგესალმებით და მივესალმები თქვენს წამოწყებას. მე ენგლანდის დიდი გულშემატკივარი ვარ და ვფიქრობ, რომ ენგლანდი ყველაზე მაგარ ფეხბურთს თამაშობს, ფრანგებთანაც შემთხვევით წააგეს, იტალია კი გავარდნის ღირსია. ალალია, სკანდინავიელებმა 2:2 ითამაშონ და მაკარონნიკები სახლში გაუშვან. ქამ ონ ენგლანდ!!!!!!!!!!!

მიხვდებოდით, რომ ეს წერილი მაშინაა გამოგზავნილი, იტალია გავარდნილი ჯერ კიდევ რომ არ იყო. საღოლ, ძმაო, როგორ გაარტყი დანია — შვედეთის დვა დვა? ჩვენც გვასწავლე რა.

აი, „ჰოლადიელი“ **SUQO0013**-ის წერილიც: „სარბიელი“ — ეს არის ნამდვილი გაზეთი. ბრავო თქვენ! ჰოლანდია არის გუნდი, რომელიც თამაშობს ნამდვილ ფეხბურთს, ევროპის დანარჩენო ქვეყნებო, ბევრს ნუ ბლატაობთ. წინილებს შემოდგომაზე ითვლიან. ჰოლანდიავ, 5 ივლისი შენი დღეა, ადვოკაატს ეშლება რაღაც-რაღაცეები, მაგრამ არა უშავს. მიდი, ედგარ, კლარენს და არიენ, სტამი მსოფლიოში საუკეთესოა. ნისტელროი, ნამდვილი ბომბარდირი შენა ხარ, გაგიმარჯოს, ჰოლანდიავ, მიდი, მიდი! ჰოლანდიაااااااااااااااااااა!

ბატონო არაჰოლანდიელებო, როცა **SUQO0013** წერს, ნუ ბლატაობთო, გულისხმობს, რომ თავად იმ ქვეყნებმა არ უნდა იბლატავონ, თორემ თქვენ, სხვა ნაკრებების ქართველმა გულშემატკივრებმა რამდენიც გნებავთ იბლატავეთ.

მოვიდა წერილი **GIORGI _**-სგან, რომელიც დიდი ხანია ვიცი, რომ გერმანიის ფანია. გერმანული სალამი „სარბიელს“! ისე რას ვერჩით ამ იტალიელებს, ჰიმნს მაგრად ასრულებენ, ჰიმნების შესრულებაში რომ იყოს ჩემპიონატი, ეგენი უპირობოდ მოიგებდნენ, მაგრამ ფეხბურთთან ცოტა მწყრალად არიან. დღეს, ისევე როგორც გუშინ, მაგარი დღე იქნება, დღეს ხომ გერმანია მეოთხედფინალის საგზურს მოიპოვებს, დიდი მოკითხვა **KAKHAS**, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, **KAKHA**, შენ მაგაზე არ ინერვიულო, შვედებსაც უნდა მოვუგოთ მეოთხედფინალში. აი, მერე გვექნება სანერვიულო ნახევარფინალში ინგლისთან, მთავარია მსაჯად კოლინა არ დაგვინიშნონ და მაგ ინგლისს თავის ბექემიან-რუნიან-ოუენიანად მოვინელებთ, სულ ეგ იყო, აბა, ჰე და აბა, ჰო, **DEUTSCHLAND UBER ALLES!!!**

ამ წერილს რომ ვბეჭდავ, ჯერ კიდევ არ ვიცი, გავიდა თუ არა ჯგუფიდან გერმანია, ამიტომ **GIORGI_**-ს ასე ვუპასუხებ: ჯერ ჩეხეთი მოინელეთ და ბექემის მონელებაში გვერდით დაგიდგებით.

ჰო, კიდევ, **GIORGI_** რამდენიმე დღის წინი მეკითხებოდა, „სარბიელში“ გერმანიას ვინ ქომაგობენო. მაშინ ოთხი კაცი ჩამოვთვალე და ძალიან მიკვარე. გუშინ ლევანა და მებრძოლი დამადგნენ თავზე, ჩვენ აბა, ვინ ოხრის გულშემატკივრები ვართო. კობა კი მაიძულებს, ყოველდღე ვწერო, გერმანია ძალიან მაგარიაო.

გერმანული თემა გავაგრძელოთ. თან ახალი ავტორი გვყავს, **ლოლიტა** — ადრე ჩამოწერეს გერმანია რატომღაც... გავა გერმანია ჯგუფიდან და ჩემპიონატსაც მოიგებს! რით ჯობია ვითომ ჰოლანდია? ლატვიას ვერ მოუგო... დიდი საქმე... 2:0-ით დაწყებულ თამაშებს მაინც არ აგებს. ახლა ჩეხეთის მწვრთნელმა ფეხბურთელებს დავასვენებო, ეგ გვინდოდა? დაიწყებენ მერე ლაპარაკს გერმანიამ ჩეხებს იმიტომ მოუგო, რომ წამყვანი მოთამაშეები არ ჰყავდაო. მოკლედ, გერმანიის ბალელშჩიკებო, გააქტიურდით, თორემ აშკარად ჩაგრავენ ბუნდესნაკრებს! ჰო, კიდევ... თუ წერილი ძაან დიდია, შეგიძლიათ შეამოკლოთ, ოღონდ ბოლო წინადადება არ გამოგრჩეთ. კარგად! ლოლიტა.

შენც კარგად, ლოლიტა. კიდევ მოიწერე.

მეგმასტერი ბუარა

eurofan2004@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტივი



როცა გვერდზე ჯიჯი რივა გიდგას,
ტრიბუნიდან ვერ გადააფურთხებ



ტრაიანოს დელასი:
აქ ჩავაგდებ, ფრანგებთან შევაგდებ

ჩააწყვეთ ხომ, თქვენი სკანდინაველი...
2:2-მა კასანოს ორი ყავარჯენი მოუტანა



ამ ოღროჩოღრო გავა-წელს
რუნის ვერავინ შეეცილება

ახალი პელეს სატრფო კოლინი

პაველ მარეშს
ფეხზე ჟღრო მეტი
თქმა აქვს, ვიდრე
ჩეხთა ექიმს თავზე



კაცის ხელებმა სხვა
რამეც რომ არ მოსი-
ნჯონ, ამიტომ ქალებს
ქალი ჩხრეკს

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		24 ივნისი						
23.45	025	პორტუგალია-ინგლისი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
		25 ივნისი						
23.45	026	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,45	3,5	8,0	1,02	1,22	2,43

© 2002 UEFA TM

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		24 ივნისი						
5025		პორტუგალია-ინგლისი	3,1	2,05	3,1	1,23	1,55	1,23
		25 ივნისი						
5026		საფრანგეთი-საბერძნეთი	1,75	2,35	7,0	1	1,4	1,75

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. X ტური						
		24 ივნისი						
20.00	340	კტპ-ლაჰტი	2,2	3,2	2,7	1,3	1,21	1,46
		ირლანდია. პრემიერლიგა. XVIII ტური						
		24 ივნისი						
23.45	352	დუბლინი-შემროკი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
		25 ივნისი						
23.45	353	სტ.პატრიკსი-შელბურნი	3,5	3,1	1,9	1,64	1,23	1,17
23.45	354	უოტერფორდი-დერი	1,55	3,4	5,3	1,06	1,19	2,07
		26 ივნისი						
23.30	355	ლონგფორდი-დროგედა	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
		ბრაზილია. სერია A. გადადებული მატჩი						
		24 ივნისი						
04.30	357	სან კაეტანო-ჟუვენტუდი	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
		ნორვეგია. თასი. 1/8 ფინალი						
		24 ივნისი						
21.00	433	ბოდიო გლიმტი-ბრანი	2,4	3,3	2,45	1,38	1,21	1,4
21.00	434	ვარდ ჰაუგესუნდი-ლინი	5,6	4,0	1,45	2,33	1,15	1,06

CROCO BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
TELCREDITI

10
42 00 24
+%

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსრული წაგებულად ჩაითვლება)

		24 ივნისი	
5425	პორტუგალია-ინგლისი	1,9	1,9
		25 ივნისი	
5426	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,35	3,2

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
			24 ივნისი							
5125	პორტუგალია-ინგლისი	4,0	10,0	20,0	5,0	4,4	5,0	20,0	10,0	4,0
			25 ივნისი							
5126	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,9	15,0	40,0	3,6	5,3	14,0	25,0	14,0	14,0

რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბარად	II-ში
	24 ივნისი			
025	პორტუგალია-ინგლისი	3,0	2,8	2,0
	25 ივნისი			
026	საფრანგეთი-საბერძნეთი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
		24 ივნისი	
5325	პორტუგალია-ინგლისი	1,6	2,0
		25 ივნისი	
5326	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,7	1,9

რამდენი გოლი ბავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		24 ივნისი	
5225	პორტუგალია-ინგლისი	1,65	1,95
		25 ივნისი	
5226	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,7	1,9

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

თბილისი ვალდებულია

ვარსკვლავები: არ არის ტევა, არ არის შეტევა

ცოტაც და „თბილისი“ პირველად ითამაშებს უეფას თასზე. ამ კლუბის ისტორიაში ეს პირველი მნიშვნელოვანი წარმატებაა და თბილისელებიც სერიოზულად ემზადებიან. გიორგი დევდარიანი შეგირდებს დღეში ორჯერ ავარჯიშებს და შიგადაშიგ ამხანაგურ მატჩებსაც არ აკლებს. მაგალითისთვის, დღეს „თბილისი“ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ გაეჯიბრება.

როგორ მიდის მოსამზადებელი ეტაპი, კმაყოფილია თუ არა მწვრთნელი ახალწვეულებით, რისი იმედი გვქონდეს უეფას თასზე... ამ და სხვა კითხვებზე გუშინ „თბილისის“ თავკაცმა გიორგი დევდარიანმა გვიპასუხა...



გურამ დოლიძეიანის ფოტო

— როგორ ემზადებით საახალსეზონოდ, კმაყოფილი ხართ?

— ყველაფერი კარგად მიდის. ბიჭები სერიოზულად არიან განწყობილნი და თავდაუზოგავად ვარჯიშობენ. ასე რომ, ჯერჯერობით კმაყოფილი ვარ.

— ამხანაგური მატჩებიც ითამაშეთ და ვინმემ იმედები ხომ არ გაგიცრუათ?

— ახლა მაგაზე ლაპარაკი ადრეა. ამხანაგურ მატჩებსაც მომზადების ხასიათი აქვს და, ცხადია, შეცდომებიც იქნება. „დინამოსთან“ ამასწინანდელ მატჩშიც გვქონდა რამდენიმე ხარვეზი, თუმც ეს მოსალოდნელი იყო. დიდი დატვირთვები გვაქვს და ამის ფონზე იდეალურად თამაში გამორიცხულია. ახლა „ვიტ ჯორჯიას“ ვეთამაშებით და ამ მატჩისგანაც ივივეს ველი, ოღონდ, მთავარია, ხარისხი თანდათან გავაუმჯობესოთ და შეკრების ბოლოს ჩვენს სათამაშო ფორმაზე თამამად შეგვეძლება ლაპარაკი.

— ახალწვეულებით კმაყოფილი ხართ?

— ვფიქრობ, ყველამ გაამართლა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს სერგო ორბელაძე, ასევე კმაყოფილი ვარ ირაკლი სამხარაძის და თეიმურაზ ჩიკვილაძის თამაშითაც, გიორგი მიქაძეც დიდი ძალაა ჩვენთვის.

— კიდევ აპირებთ ვინმეს დამატებას?

— იყო რაღაც ლაპარაკები, მაგრამ არა მგონია, კიდევ ვინმე შეგვემატოს. ჩვენთვის მთავარი იყო, თავდამსხმელის პრობლემა გადაგვეჭრა. ახლა კი, მგონი, ამ მხრივ საქმე კარგადაა: მიქაძე, ფიფია, მიკუჩაძე, ჭელიძე... კონკურენცია უკვე საკმაოდ დიდია, რაც ძალიან მახარებს.

— სამხარაძე-ჩიკვილაძის გარდა „სპარტაკიდან“ კობა შალამბერიძის და ლაშა დონდოლაძის გადაბირებაზეც იყო ლაპარაკი...

— ამაზე ახლა აღარ ვფიქრობთ, გუნდი დაკომპლექტებულია.

— ესე იგი, უეფას თასზე სათამაშო შემადგენლობა უკვე გყავთ?

— ასეა, უეფაზე სწორედ იმ ბიჭებს მოუწევთ თამაში, რომლებიც დღეს გუნდში არიან.

— უცხოურ შეკრებაზე არ მიდიხართ?

— ამის აუცილებლობას ჯერჯერობით ვერ ვხედავ. აქაც კარგი პირობები გვაქვს — ვვარჯიშობთ, ვთამაშობთ და აღდგენითი საშუალებებიც არ გვაკლია. ასე რომ, უცხოურ შეკრებაზე არც ვფიქრობ. ეს მაშინ სჭირდება გუნდს, როცა უფრო სერიოზული სპარინგებია დაგეგმილი. ამ ეტაპზე კი აქაც კარგი მოწინააღმდეგეები გვყავს ამხანაგური მატჩებისთვის.

— უეფას თასზე ქართული კლუბების სავარაუდო მეტოქეები ცნობილია. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა 25 ივნისს ჩატარდება. შეგიძლიათ, ახლავე თქვათ, გაივლის თუ ვერა „თბილისი“ ამ ეტაპს?

— აბა, გიჟები ვართ, ტყუილად გავიდეთ უეფას თასზე?! შეგვიძლია კი არა, ვალდებულები ვართ, ეს საკვალიფიკაციო ეტაპი გავიაროთ. ერთადერთი ბელარუსული ბატე ჩანს შედარებით კერკეტი გუნდი, მაგრამ მასაც უნდა მოვუგოთ. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ „თბილისი“ წარმატებით ითამაშებს უეფას თასზე.

— უეფას თასზე თამაშის გამოცდილება, ერთი-ორის გარდა, არც ერთ თქვენს ფეხბურთელს არა აქვს...

— საერთოდ, ეს სეზონიც სადებიუტო არ იყო ჩვენთვის?! ჩემთვისაც და გუნდისთვისაც საქართველოს ჩემპიონატს გაცნობითი დატვირთვა ჰქონდა. ფეხბურთელთა უმეტესობა პირველად თამაშობდა უმაღლეს ლიგაში, მე კი დიდ ფეხბურთში აქამდე არასოდეს მიმუშავია... უცებ უნდა გამეგო, რა და რა დონისა იყო ქართული ფეხბურთი...

— რასაც ელოდით, ის გამოდგა?

— მეტს ნაღდად არ ველოდი. მანამდე ბავშვებს ვავარჯიშებდი და ზედაპირული წარმოდგენა მქონდა უმაღლეს ლიგაზე. მერე „თბილისის“ მწვრთნელად რომ დავინიშნე, ყველაფერს ავუღე ალღო. ახლაც ვნახავ, რა ხდება უეფას თასზე. ფაქტობრივად, იგივე სიტუაციაში ვართ. გარედან კი ვიცით, მაგრამ, ცხადია, ნახვა ჯობს. მთავარია, პირველი ეტაპი გადავაგოროთ და მერე უფრო სხვანირად ვილაპარაკებ. ხომ იცით, გამოცდილება ბევრს ნიშნავს.

— გამოცდილება ახსენეთ და, ორიოდ თვის წინ ბევრი ამბობდა, „თბილისს“ მწვრთნელად ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი ჩამოჰყავს და გიორგი დევდარიანს სამწვრთნელო კურსებზე საზღვარგარეთ უშვებსო. ბოსკამპის ვარიანტი არ გამოვიდა და თქვენი სასწავლებლად წასვლაც გადაიდო?

— სულ მინდოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ძალიან მაინტერესებს, ასეთი ინფორმაცია ვინ გავრცელა. „თბილისის“ ხელმძღვანელობამ? ეს აბსურდია.

— ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ამაზე ლაპარაკი იყო...

— ვიცი, მაგრამ რაც მთავარია, ამაზე „თბილისის“ ხელმძღვანელობას არაფერი უთქვამს. არ დაიღალა ეს ხალხი ამდენი ჭორით?! მსგავსი არაფერი ყოფილა. დასაბალი რა არის, გეტყვით, რომ ბოსკამპი ჩამოიყვანეთ ჩვენს აკადემიაში. მას ფიზმომზადების რამდენიმე სპეციალისტიც მოჰყავდა და ამის წინააღმდეგი ვინ იქნებოდა? ჩვენი ბავშვებისთვის უკეთესს რას გავაკეთებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე არ გამოვიდა. მე კი საზღვარგარეთ თუ მივდივარ, გაზეთიდან უნდა ვიგებდე?! ფაქტია, დღესაც „თბილისის“ მწვრთნელი ვარ და კლუბის ხელმძღვანელობას რაიმე საპრეტენზიო რომ ჰქონდეს ჩემთან, აუცილებლად მეტყოდა. ჩვენ შორის დამალული და ინტრიგებით ჩახლართული ურთიერთობა ნაღდად არაა და ამიტომაც ვერ გავიგე, რატომ გავრცელდა ასეთი ჭორები. თქვენი გაზეთით ყველა ჟურნალისტს ვთხოვ, თუ მსგავსი ინფორმაცია გაჩნდება, ჩემთან გადაამოწმონ. მე ჟურნალისტებთან ურთიერთობისთვის არასოდეს ამირიდებია თავი და მერე ასეთი პრობლემებიც არ იქნება.

— კეთილი. ევროპის ჩემპიონატს გვერდს ვერ ავუვლით. როგორც მწვრთნელს, რომელი გუნდები მოგეწონათ და რა სიახლეები შენიშნეთ?

— აშკარად გამოჩნდა, რომ ვარსკვლავებით გაძეძგილი გუნდები ვეღარ თამაშობენ. ამდენმა ვარსკვლავმა მათ გუნდური თამაში წაართვა. ამის ფონზე ძალიან მომეწონა დანია და შვედეთი. პორტუგალიასაც კარგი ნაკრები ჰყავს, მაგრამ დანიაშვედეთი მაინც ყველასგან გამოირჩევიან. დააკვირდით, საფრანგეთს იგივე ნაკრები ჰყავდა ოთხი წლის წინაც, მაგრამ, მაშინდელისგან განსხვავებით, ახლა უფრო უჭირს თამაში. ეს ბიჭები წლების წინ ბევრს მუშაობდნენ და გუნდის „შავ“ საქმეს თავაუწევლად აკეთებდნენ, ახლა კი მათი უმეტესობა მაღალი დონის ფეხბურთელია და... გუნდური თამაშიც უცებ მოიშალა.

— თქვენი აზრით, ჩემპიონი ვინ გახდება?

— მაგას თუ მეტყვით, მაღარიჩი ჩემზე იყოს.

— მაშინ ის გვითხარით, ვის ქომაგობთ?

— ამჯერად საფრანგეთს. ისე კი, ბრაზილიის გულშემატკივარი ვარ.

ძახა შალამბერიძე

მიხეილ ყაველაშვილი ვლადიკავკაზის „ალანიაში“ დაბრუნებას აპირებს. იქ, სადაც 1995 წელს რუსეთის ჩემპიონი გახდა და გადაჭარბებულიც არ იქნება ვთქვათ, იმ ჩემპიონობაში მისი უდიდესი წვლილიც იყო. ჩვენიანი იმ სეზონში რუსეთის ბომბარდირი გახდა.

ალანიას ჩემპიონი შბრუნდება

ყაველაშვილი ფინანსისტს ელის

მიხეილ ყაველაშვილი: შვეიცარია თუ ოსეთი?

ყაველაშვილის კარიერაში მერე ინგლისი და „სიტი“ იყო, შვეიცარიული „გრასჰოპერი“, „ციურიხი“, ლოზანა“, „არაუ“, ახლა კი... „აარაუსთან“ კონტრაქტგასრულებულ ქართველს დიდი შანსი აქვს, ოსების წითელ-ყვითელი მაისურა მოირგოს.

დაგვეთანხმებით, ცოტა უცნაურიც კია, შვეიცარიაში ლამის დასახლებულმა ქართველმა ფორვარდმა დასასრულისკენ მიმავალი კარიერა ვლადიკავკაზში რომ გაგრძელოს, მაგრამ...

— ჩემი აგენტი ფრანგია, „ალანიას“ მწვრთნელის, კურბისის ნაცნობი — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა გუშინ, როცა შვეიცარიაში დავუკავშირდით — რუსეთის ჩემპიონატის განახლებამდე „ალანია“ შვეიცარიაში ემზადება და აგენტმა, კურბისის თხოვნით, შეკრებაზე მიმიწვია. ასე აღმოჩნდი „ალანიაში“, თუმც ჯერ გუნდთან ერთად არც მივარჯიშია. შვეიცარიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შვებულებაში ვიყავი და „ალანიაც“ ამ დროს დამიკავშირდა. უკარჯიშებელს კი დატვირთვების მიღება არ შემეძლო. ახლა გუნდთან ერთად ვარ, მაგრამ ცალკე. ლეგენდარული ჩოგბურთელის მარტინა ნავრატილოვას ფიზმომზადების მწვრთნელის მეთვალყურეობით ვემზადები.

— როდის გადაწყდება, „ალანიაში“ დაბრუნდი თუ არა?

— უახლოეს ორ-სამ დღეში საბოლოოდ მოვილაპარაკებთ.

— კი მაგრამ, „ალანიასთან“ ერთად არ ვარჯიშობ? თუ საქმე მოლაპარაკებამდეა, გამოდის, გუნდის უფროსობას უკვე შეხვედრიხარ...

— უფროსობას არა, მაგრამ კურბისს ყოველდღე ველაპარაკები, მწვრთნელი გუნდის ტაქტიკურ მონახაზს მიხსნის, აზრს მეკითხება... მოკლედ, მასთან პრობლემა არაა, კურბისს სურს, „ალანიაში“ ვითამაშო.

— აბა, პრობლემა რაღაა?

— ხვალ-ზეგ გუნდის ფინანსისტი ჩამოვა და მასთან უნდა მოვილაპარაკო. ვნახოთ, რა გამოვა.

— წინასწარ რას იტყვი?

— ვიტყვი, რომ დეტალები დარჩა შესათანხმებელი.

— 29 ივნისს „ალანია“ — „თბილისის“ ამხანაგური შეხვედრაა დაგეგმილი. შესაძლოა, ამ მატჩში ითამაშო?

— ვნახოთ, „ალანია“ შვეიცარიაში ჩარტერული რეისით კია ჩამოფრენილი, შინ კი 26-ში ბრუნდება. იქამდე კონტრაქტი თუ გავაფორმე, ვლადიკავკაზში გუნდთან ერთად მაინც ვერ გავფრინდები. აქ პირადი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, თუმც... „ალანია“ „თბილისს“ თუ უმასპინძლებს, თამაშზე მაც ვიქნები...

კოგა ინასარიძე

1988 წლის ლობანოვსკელი პორტუგალიურ პერიპეტიებზე

თენგიზ სულაქველიძე: საბჭოელები მალე ვიფიტებოდით

თენგიზ სულაქველიძეს ავსტრიელი ვალტერ შახნერის წინააღმდეგაც უთამაშია

1981 წლის ტრიუმფატორი „დინამოდან“ მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა, თენგიზ სულაქველიძემ ითამაშა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე – 1988 წელს ის ვერცხლის მედლით დაბრუნდა გერმანიიდან. გუშინ კი სულაქველიძეს პორტუგალიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ვესაუბრეთ, თუმც სხვასაც გადავწვდით

— 1988 წლის შემდეგ 16 წელი გავიდა — თქვენი აზრით, როგორ შეიცვალა ფეხბურთი მას აქეთ?

— 1988 წელს გერმანიაში ვან ბასტენი და გულიტი თამაშობდნენ, ასეთი ფეხბურთელები ამ ევროპის ჩემპიონატზე არიან?

— სხვაობას მხოლოდ ამაში ხედავთ?

— ვარსკვლავური ფეხბურთი ახლა აღარაა, ნიჭიერი ფეხბურთელები ნაკლებად გვხვდებიან.

— უეინ რუნიც არ მოგწონთ?

— რუნი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ადრე ასეთი ფეხბურთელი უფრო მეტი იყო.

— ესე იგი, უწინდელი ფეხბურთი თანამედროვეს სჯობდა?

— ახლა უფრო მაღალი ტემპია, მაგრამ წუნიც მეტია. ამ ევროპის ჩემპიონატზე სანახაობრივად ესპანეთ-პორტუგალიას თუ გამოვარჩევთ. თუმცა ახლა მეოთხედფინალები გველის და სანახაობრივი მატჩები ალბათ მოიმატებს.

— ღღევანდელ მატჩებზე რას იტყვით, გერმანია გავა ჯგუფიდან?

— გერმანია ჯგუფიდან გავა — ასე მგონია და ასე მინდა, რადგან გერმანიის გულშემატკივარი ვარ. გერმანიას ვარსკვლავები აღარ ჰყავს, მაგრამ გუნდი საკუთარ ხელწერას მაინც ინარჩუნებს და მაღალი სათამაშო დისციპლინის ხარჯზე ძალუძს წარმატების მიღწევა. ისე, ახლა თითქმის ყველა გუნდს აქვს მსგავსი პრობლემები, ადრე კი თითქმის ყველა ტრადიციულ ნაკრებში იყო 2-3 ვარსკვლავი.

— რას იტყვით ლატვიის ნაკრებზე, რომელიც ფინალურ ეტაპზე მოხვდა და პორტუგალიაშიც ყველა აალაპარაკა? რით გვჯობიან ლატვიელები ქართველებს?

— ლატვიაში სწორად მიუდგნენ ფეხბურთს.

— შესაძლოა, მაგრამ ჩვენზე კარგი ფეხბურთელები ჰყავს ლატვიას?

— ყოველ შემთხვევაში, ვერპაკოვსკისის დარი მაღალი კლასის ფორვარდი ქართველებს ერთი თუ გვყავს.

— და საქართველოს ნაკრების მუდმივ წარუმატებლობებს ამას აბრალებთ?

— ჩვენ გვყავს 5-6 ისეთი ფეხბურთელი, რომელთაც შეუძლიათ ისეთი მაღალი რანგის ტურნირზე თამაში, როგორიც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპია, მაგრამ ისინი მწვრთნელმა უნდა შეათამაშოს. თუმც მხოლოდ მწვრთნელის ფაქტორსაც ვერ ჩავეჭიდებით — მოედანზე ყველაფერს მაინც ფეხბურთელები წყვეტენ.

— მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე უფრო რომელი ფეხბურთელი მოგწონთ?

— ჯერჯერობით საუკეთესოა ზიდანი.

— ჩემპიონობის ფავორიტად რომელი ნაკრები მიგაჩნიათ?

— ინგლისი და საფრანგეთი.

— მწვრთნელებიდან ვის გამოარჩევდით?

— ოტო რეჰაგელს — მის ხელში ბერძნებმა კარგი თამაში აჩვენეს.

— თქვენი საყვარელი გერმანიის ნაკრებიდან კი არავინ მოგწონთ?

— მომწონს შვაინსტაიგერი, ის ტიპიური შემტევი ფეხბურთელია.

— 1988 წელს ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკის თავად უთხარით, ასეთ დონეზე თამაშს ვეღარ გავუძლებო, არადა, ზიდანი წლეულს 32 წლის გახდება, მაგრამ ჯანი და ამტანობა ახალგაზრდა მოთამაშეებზე ნაკლები როდი აქვს...

— 1988 წელს 31 წლის ვიყავით, მაგრამ მაშინ ხომ ჩვენ საბჭოთა კავშირში ვთამაშობდით, სადაც საწვრთნელი პროცესი არასწორად მიდიოდა და საბჭოთა ფეხბურთელები ევროპელებზე უფრო ადრე ამთავრებდნენ კარიერას. სეზონებს შორის ორთვენახევრიანი შეკრებები გვქონდა სამჯერადი ვარჯიშებით. ჩვენ, დინამოელები, ამ პერიოდს ლესელიძეში ვატარებდით, სადაც ცუდ პირობებში, ტალახში დავრბოდით. თანაც, ახლა უფრო მაღალ დონეზეა ფარმაკოლოგია და აღდგენითი პროცესები. უწინ კი სხვა იყო და ფეხბურთელებიც მალე ვიფიტებოდით. 1988 წელს გერმანიაში ორჯერ გავედი სათამაშოდ — ჰოლანდიასთან შეცვლაზე ვითამაშე, ირლანდიასთან კი პირველი ტაიმი და როცა შესვენებაზე ლობანოვსკის ვუთხარი, აღარ შემიძლია-მეთქი, გაუკვირდა, ეს შენ მეუბნები ამასო?..

დავით თავართქილაძე

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

ჩუმად, უნდა გავიტანო

ალექსანდრე კაიდარაშვილი კვლავაც ამერელია. უმაღლეს ლიგას შეჩვეულმა და ლეგიონერობამოსწრებულმა ფორვარდმა ზამთარში სამი თვე პლუს ერთი წელი, პირობით გააფორმა კონტრაქტი. ერთი წელი იმას გულისხმობდა, რომ თუ გუნდი უმაღლესის საგზურს მოიპოვებდა, კაიდარაშვილი დარჩებოდა, თუ არა, თავის გზას მონახავდა. მსურველი კი ნაღდად გამოუჩნდებოდა.

„ამერი“ მომავალ სეზონს კვლავაც პირველ ლიგაში ითამაშებს, თანაც კაიდარაშვილთან ერთად

— დიდხანს არ მიფიქრია, მალევე ავწონდავწონე ყველაფერი და „ამერში“ დარჩენა ვამჯობინე. კლუბში ისეთი პირობებია, მხოლოდ ის, რომ უმაღლესში არ ვთამაშობთ, ჩემი წასვლის არგუმენტად არ გამოდგებოდა. თანაც გუნდის მესვეურთა გულთბილი დამოკიდებულებაც მნიშვნელოვანია ჩემთვის.

— ეს გადაწყვეტილება იმანაც ხომ არ განაპირობა, რომ „ამერში“ შენი შესაძლებლობები სრულად ჯერ არ დაგიმტკიცებია?

— ასეცაა. უმაღლესში რომ ათამდე გოლი გაგაქვს, პირველ ლიგაში სამს არ უნდა დასჯერდე. თითქოს დათარსული ვიყავი, იყო რაღაც-რაღაც ხელისშემშლელი გარემოებები, თუნდაც ის, რომ შეკრება გუნდთან ერთად არ გამივლია, მაგრამ ამით თავს არ ვიმართლებ. სეზონი ჩავაგდე. ისევე, როგორც მთელმა გუნდმა და საბოლოოდ ისეთი რამ მოხდა, ფიქრადაც კი რომ არ გავივლებდი გულში.

— როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა „ამერის“ წარუმატებლობა?

— ალბათ ემან, რომ მთელი გუნდი ერთსულოვანი არ იყო. ეს ჩვენს თამაშზეც აისახა და ვფიქრობ, მთავარი მიზეზი სწორედ ეს იყო.

— ასეთ შემთხვევაში სცოდავენ მწვრთნელი და თავად ფეხბურთელიებც...

— ალბათ უფრო ჩვენ, ფეხბურთელები ვიყავით დამნაშავე. მოედანზე ჩვენ გავდიოდით და მეტი შემართება და პასუხისმგებლობა მოგვეთხოვებოდა... ვფიქრობდი, რომ უმაღლესში გამოცდილს პირველ ლიგაში თამაში არ გამიჭირდებოდა, მაგრამ შევცდი, რისი დასტურიც ჩემს მიერ გატანილი მხოლოდ სამი გოლია.

— საახალსეზონოდ „ამერი“ საგრძნობლად გაძლიერდა, რამდენიმე უმაღლესლიგელიც შეიმატა...

— ჩვენ ნახევარდაცვაში დიდი პრობლემები გვქონდა, ამიტომაც ვფიქრობ, დეკანოსიძის მოსვლით ხარვეზები გამოსწორდება. დიდი ძალაა სულიკო დავითაშვილიც, მის შესაძლებლობაზე მისი ბომბარდირობა მეტყველებს.

— დავითაშვილის გადმოსვლა ალბათ ძალიან გაგიხარდა. შენ და სულიკოს „ლოკომოტივში“ მხარდამხარ გითამაშიათ და წარმატებითაც.

— უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. ვიცი მისი განწყობაც და თავს არ დავზოგავთ, „ამერს“ უმაღლესი ლიგის საგზური რომ მოვაპოვებინოთ. ჩვენი მიზანი ესაა.

— როგორ ფიქრობ, შეძლებთ უმაღლესში გადასვლას?

— მე წინა სეზონშიც ვამბობდი, რომ გადავიდოდით უმაღლესში და მაშინ შევცდი, ახლა კი ვფიქრობ, ნაღდად არ შევცდები. „ამერს“ უკვე გარკვეული გამოცდილება აქვს, კარგ შემადგენლობას მოუყარა თავი, ამბიციური ფეხბურთელებიც ჰყავს და ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი საიმისოდ, უმაღლესზე რომ იფიქროს.

— შენგან რამდენ გოლს უნდა ველოდოთ ახალ სეზონში?

— რამდენჯერაც გოლების გატანა დავიქადნე, არაფერი გამოვიდა, ამიტომ ახლა გავჩუმდები. ისე, „დილაში“ რომ ვთამაშობდი, ჩემთან ინტერვიუზე არავინ მოდიოდა გოლებზეც არ მეკითხებოდნენ და მაშინ უფრო გამქონდა.

პაატა ძვანტალიანი

გერმანია დინამოს გრილად დახვდა



თბილისის „დინამო“ გერმანიაშია და შტუტგარტის მახლობლად, რუიტის სპორტსკოლაში ბინადრობს. დინამოელები უკვე მესამედ სტუმრობენ მწვანეში ჩაფლულ და ყველა სავარჯიშო პირობით აღჭურვილ ამ ბაზას. გუშინ მათ ორჯერ ივარჯიშეს. დილის ვარჯიში უფრო კომბინაციებზე მუშაობა იყო, ანუ ფეხბურთელებს ბურთთან საკმაო კონტაქტი ჰქონდათ, საღამოს კი აქცენტი ფიზიკურ დატვირთვებზე მოვიდა. ახლა გერმანიაში საკმაოდ გრილი ამინდებია და ფეხბურთელებს დამატებითი სირთულეები არ ექმნებათ. ლადო ბურდულმა და მიხეილ კაკალაძემ ინდივიდუალურად ივარჯიშეს. ბურდულის ტრავმა ახალი არ არის, კაკალაძეს კი მუხლი ახლა ასტკივდა. ერთ კვირაში რეაბილიტაციის კურსს გიორგი ნემსაძეც დაასრულებს და ისიც ინდივიდუალური გრაფიკით შეუდგება მზადებას.

დინამოელები გერმანიაში თავიანთ პირველ მატჩს 26 ივნისს ბადენ-ვიურტენბერგის მიწების ნაკრებთან გამართავენ.

დავით ერაძე

უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი

სერენამ ჩაისერა



REUTERS ლონდონიდან

კუნძულის განძი ინგლისელებისთვისაც გამოჩნდა

პირველი წრე

კაცები

ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) — **რუბენ რამირეს იდალგო** (ესპანეთი) 4:6, 7:6 (8:6), 6:4, 6:2; **კარლოს მოია** (9, ესპანეთი) — **ოლივიე პასიანისი** (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 7:5, 6:7 (6:8), 6:1; **მარკ ფილიპუსისი** (11, ავსტრალია) — **კრისტოფ როხუსი** (ბელგია) 6:3, 6:4, 6:2; **მარდი ფიში** (14, აშშ) — **ივან ნავარო პასტორი** (ესპანეთი) 6:3, 6:2, 6:3; **ძსავიე მალისი** (ბელგია) — **ირჟი ნოვაკი** (16, ჩეხეთი) 6:3, 6:4, 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — **მარატ საფინი** (19, რუსეთი) 4:6, 7:5, 6:3, 7:6 (7:1); **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — **მაქს მირნი** (23, ბელარუსი) 6:3, 7:5, 6:4; **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) — **ივან ლიუბიჩიჩი** (28, ხორვატია) 5:7, 7:6 (7:5), 7:5, 6:2; **ჰიშამ არაზი** (32, მაროკო) — **ანდრე სა** (ბრაზილია) 6:1, 6:4, 6:2; **მარტინ ფერკერკი** (ჰოლანდია) — **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) 4:6, 6:3, 6:4, 7:5

ქალები

სერენა უილიამსი (1, აშშ) — **ჭენ ძი** (ჩინეთი) 6:3, 6:1; **სანდრა კლეინოვა** (ჩეხეთი) — **ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) 6:4, 1:6, 6:4; **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) — **სვეტლანა კუზნეცოვა** (8, რუსეთი) 7:6 (7:4), 3:6, 6:4; **ნადია პეტროვა** (10, რუსეთი) — **ფლავია პენეტა** (იტალია) 6:3, 2:6, 6:4; **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) — **ჩანდა რუბინი** (17, აშშ) 7:6 (7:5), 6:3; **ელენა ბოვინა** (20, რუსეთი) — **ედინა გალოვიცი** (რუმინეთი) 6:1, 6:2; **ნატალი დეში** (25, საფრანგეთი) — **ანაბელ მაგი გარიგესი** (ესპანეთი) 6:3, 6:4; **მაგი სერნა** (ესპანეთი) — **ელენი დანილიდუ** (30, საბერძნეთი) 6:4, 6:2; **მეგან შონესი** (32, აშშ) — **მარისა ირვინი** (აშშ) 7:6 (7:3), 7:6 (7:0); **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — **სამანტა რივზი** (აშშ) 6:1, 6:4

ლონდონურ სეფეკოინდარზე შარშან და შარშანწინ ნაშოვნი ტიტულების დაცვა ქალთა ამქრის ბაყვბაყვდევმა სერენა უილიამსმა ჩინელი ჭენ ძის იოლი ძლევით დაიწყო. თუმცა იმის გამო, რომ შარშან მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ მთელი ზაფხულშემოდგომა იუქმა და ჩოგანი მაინცდამაინც ხშირად ვერც წლეულს აქნია, ვინუსის უმცროსი დაიკო ჯერაც გატლანქული და მოჟანგული ჩანს. ეს ეპითეტები — ცხადია — მის საჩოგბურთო ფორმას შეეხება, თორემ ხორციელი ბარაქის ამბავში ის კვლავაც შეუდარებელია, რასაც სახარბიელოდ წარმოაჩენს მისი ახალი, საამუიმბლდონოდ შეკერილი თეთრი, ბოლოსკენ მრავლობითად ჩასერილი სექსკაბა.

მარად მოტივაციადაჯარგული

მარატ საფინმა იმ დღეს ისე უჯიგროდ ითამაშა, რომ რუსეთის პირველმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მისი და მეორე რუსის დმიტრი ტურსუნოვის ბურთაობა უკვე მეორე სეტის დამთავრებისთანავე მიაგდო. ამ სეტის მოგებით ტურსუნოვმა ანგარიში გაათანაბრა და რუსთა ჩოგბურთში გაწაფულ ცარყოფილს ეტყობა გულმა უგრძნო, მის ჯილას მორიგი ჩაფლავება რომ ელოდა.

ასეც მოხდა. საფინმა ბალახი ვერ დაიგემოვნა და 21 წლის თვისტომს, ვინაც რეიტინგსიაში 66-ე ადგილზეა და თავის პირველ უიმბლდონობაზე გამოდის, პირველი გათამაშებიდან ორი საათისა და 32 წუთის თავზე დანებდა.

ამ საფარზე ჩოგნაობა მაგრად არ მევასებაო, იძახდა მერე: „აზრზე არა ვარ, ამსხლტარი ბურთი საით უნდა გავარდეს ხოლმე, ასე რომ თამაში მალევე მბეზრდება. ნამეორსეტევს უკვე აღარანაირი მოტივაცია არ მქონდა.

ხოლო როცა საკუთრივ ამ მატჩის ირგვლივ საუბარს მორჩა, საფინი უფრო განყენებულ თემებსაც გადასწვდა და — ეს უკვე მერამდენედ — განრიგის გადატვირთულობის გამო აიჯაგრა — აქაოდა, ამდენტურნირიანი სეზონი კაცთა ჩოგბურთს ანადგურებსო.

„ჩვენ დასვენების დროც კი არ გვრჩება — იძახდა საფინი — თუკი ჩოგბურთის მამები რაღაცას არ მოიფიქრებენ, საქმე უარესისკენ წავა. მოთამაშეებს ისეთი მჭიდრო გრაფიკი აქვთ, სად და როდის ითამაშონ, აღარ იციან. ხალხსაც ბეზრდება ყოველკვირა ერთი და იმავე სახეების ყურება. სწორედ ამიტომაა, რომ სულ უფრო მეტ ტურნირზე ტრიბუნები ცარიელი რჩება ხოლმე.

ეს ყველაფერი, რასაკვირველია, დიდი მუზარადის ტურნირებს არ შეეხება. მაგრამ, ვთქვათ, აგვისტოში, ათენის ოლიმპიადაზე თუ გინდა გამოსვლა, ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ მერე შეიძლება აშშ-ის ღია პირველობაზე დავარდი. მოკლედ, ვითარება ძალიან რთულია.

მაგალითისთვის ფერეროც იკმარებდა. წლეულს ის თითქმის უკვე მოთავებულია. და ეს იმის გამო, რომ შარშან უამრავ ტურნირზე მოუხდა გარჯა, უმძიმესი წლის დამლევს ჯერ ჰიუსტონურ მასტერსთასზე ითამაშა, იქიდან კი პირდაპირ ავსტრალიაში გაფრინდა დევისთასის ფინალში საომრად. ხოლო ახალი სეზონი ისე დაიწყო, ორი დღეც არ დაუსვენია. ხალხს კი მერე უკვირს, როცა სახელიან მეჩოგნეებს უცებ ვარდნა ეწყებათ...“



REUTERS ლონდონიდან

მარატ საფინი ყველა ბურთს ვეღარ დასდევს

მოულოდნელობანი

რუსი ქალები ბოლო დროს ისე შთამბეჭდავად ბუქნაობენ, რომ უილიამსდების უმთავრეს მოცილეებად მილეთი სწორედ მათ მიიჩნევდა. მაგრამ საქმე ისე აეწყო, რომ უკვე პირველ წრეში სკვით მენადთა რაზმეულს ორი მძლავრი ჯავშანერთეული — როლანგაროსობის ფინალისტი ელენა დემენტიევა (6) და წინა კვირას ისტბურნობის მომგები, უიმბლდონის შარშანდელი მეოთხედფინალისტი სვეტლანა კუზნეცოვა (8) გამოაკლდათ.

ერთსაც და მეორესაც მათზე რანგითა და კლასით შეუდარებლად დაბლამდგომმა ქალებმა აჯობეს. დემენტიევას უსახელო ჩეხმა, სანდრა კლეინოვამ ისე მოუგო, გამამხნევებლად და ტაშის მკვრელად ტრიბუნაზე არც მწვრთნელი ჰყოლია და არც ქომაგთა ჯგუფი, მეორე სეტში კი სულაც მარცხენა მუხლი ასტკივდა. 18 წლის კუზნეცოვამ კი მთელი ილაჯი ეტყობა წინა კვირაში მრავალჯერ ტურნირზე ჩაცვენილ თორეშ ვირუნი რეხსტროთან ნახევარფინალურ სამ მატჩში აქამდე სამჯერვე ემარჯვა და სრულ ჯანზე რომ ყოფილიყო, ახლა რალა ღმერთი გაუწყრებოდა?!

ფერეირას ზედიზედ 55-ე

ეს უიმბლდონობა 32 წლის სამხრეთაფრიკელი უეინ ფერეირასთვის ზედიზედ 55-ე სლემტურნირია. ზედიზედ ამდენ სლემტურნირზე კი აქამდე არავის ეთამაშა. ერთით ნაკლებზე მოუსწრია გამოსვლა (1983 წლიდან 1996-მდე) შვედ შტეფან ედბერგს. ხოლო თუკი მაინცდამაინც ზედიზედობას მოვეშვებით, ჯამში ყველაზე მეტ სლემტურნირზე ნაჩოგნავებთა ჩამონათვალში ფერეირა ახლა მხოლოდ მეოთხე ადგილზეა. მის წინ 57-57-იანი მაჩვენებლებით დგანან მაიკლ ჩანგი და ივან ლენდლი, ხოლო დიდი მუზარადის ყველაზე მეტ, 58 დიდ ტურნირზე ჯიმი კონორსს უთამაშია.

თავისი სარეკორდო სლემსვლა ფერეირამ 1991 წელს ავსტრალიის ღია პირველობით დაიწყო. იმავე პირველობას უკავშირდება მისი ყველაზე დიდი სლემწარმატებებიც — ნახევარფინალში გასვლა 1992 და 2003 წლებში. რაც შეეხება დანარჩენ სლემტურნირებს, აშშ-ის ღია პირველობასა და უიმბლდონზე მან მხოლოდ თითო-თითოჯერ, შესაბამისად, 1992 და 1994 წლებში მიაღწია მეოთხედფინალამდე, ხოლო საფრანგეთის ღია პირველობაზე ის მხოლოდ 1996 წელს მეოთხე წრეში თამაშს დაიკვეხს.

შეგახსენებთ, რომ ეს უიმბლდონობა მან 28-ე ნომრად განთესილი ხორვატის, ივან ლიუბიჩიჩის 5:7, 7:6 (7:5), 7:5, 6:2 ძლევით დაიწყო.

შიდაპროდუქციის სტიმულირება

უკანასკნელი ბრიტანელი ქალი, ვინაც უიმბლდონი მოიგო, ვირჯინია უედი გახლდათ. ამის გაკეთება მან 1977 წელს შეძლო. მას შემდეგ აბორიგენ მდედრიონს მშობლიურ სლემტურნირზე ბევრი აღარაფრისთვის მიუღწევია. მაგალითად შარშან, ეგებ არც თქვენ დაგვიწყებიათ, ყველა ბრიტანელმა ქალმა ჩოგანი უკვე პირველსავე წრეში დააშალითა.

წლეულს კი საქმეს ოდნავ უკეთესი პირი უჩანს — პირველ წრეში ნაგანდაგანევი ექვსი კუნძულელი მდედრიდან დაბრკოლებათა გადალახვა ერთბაშად ოთხმა მოახერხა. ესენი ელენა ბალტაჩა, ჯეინ ოდონოგი, ანე კიოტავონგი და ემილი უებლი-სმიტი არიან.

ამბობენ, რომ მასპინძელ ქალთა ასეთი ლიანგური მინიწარმატება მავანი სადაზღვევო კომპანიის მიერ დაწესებული პრემიის „ბრალი“ უნდა იყოს. თუკი რომელიმე ბრიტანელი ქალი მეოთხე წრემდე მიატანს, ეს კომპანია ფეშქაშად 100 ათას გირვანქა სტერლინგს გამოდის. ამას კი ზედ საკუთრივ საპრიზო თანხასაც თუ დავურთავთ — რაიც სამეოთხეწრეოდ 35 850 გირვანქას შეადგენს — ადგილობრივ ქალებს ხელის გამოსაღებად მართლაც რიგიანი სტიმული უნდა ჰქონდეთ.

ლევან კელაურაძე

არც რასისტი ვარ, არც მხეცი

გეო კრონხეს საქართველო და ქართველები აქედან წასვლამდე მოენატრა

გეო კრონხემ ქართველებისა და პრეტორიელი „ხარების" სამი შეხვედრიდან მხოლოდ პირველში ითამაშა. „ბლუ ბულზი" თბილისში სულ სამი დღის ჩამოსული იყო, როცა მას უკან, სამშობლოში უხმეს, სამხრეთ აფრიკის ნაკრებში მისივე ტრავმირებული თანაკლუბელის ბაქის ბოთას შემცვლელად. კრონხეს პირველად დაუზახეს ნაკრებში მსოფლიოს თასის წინ შაკვანიანი კვინტონ დევიდსის გალახვის და სამსოფლიოსთასო სიიდან ამოწერის შემდეგ. დიღმის ბაზაზე თანაგუნდელები ნაკრებში დაბრუნებას ულოცავდნენ და გასაცილებლად საგანგებო ბარბექიუც მოუწყვეს, მაგრამ გეო მაინც მოწყენილი ჩანდა. იგი ღიმილით, მაგრამ დარდიანი თვალებით წრუპავდა „მონადირეს" და თავისიანთა ლხენას უკვე მონატრებით უცქერდა, არ უნდოდა აქედან წასვლა. მაგრამ ქართველ მორაგბეებს ნაღდად არ დასწყდებოდათ გული ამ წვერმოშვებული ორმეტრიანი გოლიათის უკან გაბრუნებით. ვის ესიამოვნება მოედანზე ამ დევის მკლავებში აღმოჩენა?

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ნაკრებში დაბრუნება არ გაგიხარდა...

— არა, როგორ არ გამიხარდა, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია...

— მაინც?

— ეს რომ ავხსნა, ბევრი სალაპარაკო იქნება.

— დავილაპარაკოთ რა...

— ძალიან კარგი. ცოტა შორიდან დავიწყებ. ქარის თასზე, ანუ სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში ჩვენ „ბლუ ბულზის" სახელით ვთამაშობთ. ხოლო ზე-12-ში მხოლოდ „ბულზის" სახელით. ზე-12-ზე ჩვენი კლუბი ვალდებულია კიდევ სამი რეგიონის მოთამაშეები აიყვანოს. ჩვენ მინიმალური ლიმიტით ვსარგებლობთ, თითო რეგიონიდან მხოლოდ თითო მორაგბეს ვიმატებთ და ესეც ნაღდად არ გვჭირდება. ჩვენი ქვეყნის რაგბის კავშირი ჯერჯერობით არ გვაძლევს უფლებას, „ბლუ ბულზის" სახელით ვითამაშოთ, მაგრამ მომავალი წლიდან ასე აღარ იქნება. ამას იმიტომ ვყვები, რომ ჩვენი რაგბის მამები ბევრს სცოდავენ. თუნდაც სანაკრებო პოლიტიკა ავიღოთ. ბოლო ორ მსოფლიოს თასზე ვერაფერი გავაკეთეთ, არადა ამდენი მწვრთნელი გამოვცვალეთ. ჩვენი „ბლუ ბულზის" მწვრთნელი ჰაიკე მაიერი რუდი სტრაულის გაშვების შემდეგ „სპრინბოხების" („ქურციკები") მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილებოდა, მაგრამ მან თვითონ თქვა უარი, რადგან არ უნდოდა, არეული სანაკრებო პოლიტიკის მონაწილე ყოფილიყო. მეც ასე ვფიქრობ, შეიძლება ჩემი და ჩემი თანაკლუბელების ლონე მეტოქის დასამარცხებლად ახლა საკმარისი იყოს, მაგრამ ამით დროებით დავმალავთ უსუსურ სანაკრებო პოლიტიკას და მომავალ მსოფლიოს თასზე ჯგუფიდან გასვლაც მიღწევა იქნება ჩვენთვის.

— მაინც რა არ მოგწონს თქვენ სანაკრებო პოლიტიკაში?

— ყველაფერი თავდაყირაა, უფროსობაში ერთმანეთს ჭამენ, ადგილებისთვის იბრძვიან. საკმარისია, ვინმეს რამე შეეშალოს, რომ უმალ ჩაქოლავენ. არ შეიძლება, ეს ნაკრებზე არ აისახოს.

— ესე იგი, მთელი პრობლემა თქვენი უფროსობაა...

— ასე გამოდის. ყოველ შემთხვევაში, მეტი წილი მათი დანაშაულია.

— იქნებ თქვენც, მორაგბეებიც ჭამთ ერთმანეთს...

— რას გულისხმობ?

— მსოფლიოს თასის წინ შენ და კვინტონ დევიდსი რომ დაერიეთ ერთმანეთს. თანაც ის შავკანიანია...

— ჰო, მაშინ ორივე დაგვითხოვეს სამსოფლიოსთასო შემადგენლობიდან, თანაც ჩვენმა ჟურნალისტებმა რასისტი და მხეცი მიწოდეს. არადა, რასისტი ნაღდად არ ვარ და არც მხეცი. ის ჩხუბი ელემენტარულ გაუგებრობას მოჰყვა, ორივე ერთ ნომერში ვცხოვრობდით და...

— და?

— არ მინდა ამის მოყოლა.

— კარგი, მაშინ ის მითხარი, აპარტეიდის შემდეგ როგორი დამოკიდებულება გაქვთ შავკანიანებთან?

— ნორმალური. სამხრეთ აფრიკაში ხუთი მილიონი თეთრკანიანი და ორმოცი მილიონი შავია. აპარტეიდის გადაგდება და შავკანიანთა ამბოხი როდესღაც უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. ამაში ცუდი არაფერია. სხვათა შორის, პრეტორიის ზოგ რაიონში დღემდეა შემორჩენილი საგანგებო სირენები.

— რა სირენები?!

— საღამოს ცხრა საათზე სირენა შავკანიანებს აფრთხილებს, რომ სახლებში შევიდნენ, ხოლო დილის შვიდ საათზე სამუშაოდ გამოვიდნენ. და კიდევ, იცი, რომ მხოლოდ ოცი წლის წინ აკრძალეს კანონით შავკანიანებზე ნადირობა?!

— არ მითხრა მეც ვნადირობდიო...

— არა, მაშინ მე ბავშვი ვიყავი. უბრალოდ, ვიცი...

— ისე კი უნდა გიყვარდეს ნადირობა.

— საიდან მიხვდი?

— მთელ დროს ნაკრების მწვრთნელის სპანიელთან ატარებდი.

— ჰა-ჰა-ჰა, და კიდევ რომელიღაც თქვენს მწვრთნელს ჰყავდა ჩვენს ვარჯიშებზე მოყვანილი მეძებარი ძაღლი. კი ეგრეა, მიყვარს ნადირობა, პრეტორიაში ორი მეძებარი მყავს და ერთიც მწევარი.

— რაზე ნადირობ?

— ძირითადად ფრინველზე და ქურციკზე.

— შავკანიანებზე არა?

— არა! ისინი ჩვეულებრივი, ჩვენნაირი ადამიანები არიან.

— კიდევ რა არის შენი ჰობი?

— თევზაობა, დღეს რომ ვიყავით მცხეთაში, სულ მინდოდა მეთხოვა, რომ იმ მდინარეში (არაგვში) მეც მეთევზავა, მაგრამ გუნდს ხომ არ გამოვეყოფოდი?!

— რაგბის შენს ცხოვრებაში რა ადგილი უკავია?

— როგორ ჩემთვის პროფესია.

— თუ დასამალი არაა, ხელფასი რამდენი გაქვს?

— მე, დენი როსოუს, რიჩარდ ბანდს, ქიის ლენსინგს, დენი ჰუმანს, ენტონ ოლივერს, ბაქის ბოთას და დენი ჰაუხარდს... ვინმე თუ გამომრჩა, მაპატიებს... დაახლოებით ასოცდაათი ათასი დოლარი წელიწადში, პრემიალურების გარეშე. პრემიალურებს ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიღებთ, თუ სეზონის ბოლოს რაიმე ჯილდოს მოვიგებთ. მოგებული მატჩების შემდეგ კი მესამე ტაიმს ანუ ქეიფს ვჯერდებით.

— თქვენ კლუბში მინიმალური ხელფასი რამდენია?

— ანუ 19-20 წლის მორაგბეს მინიმუმ ორმოცი-ორმოცდაათი ათასი ამერიკული დოლარი ენიშნება.

— და რაში ხარჯავთ ამდენ ფულს?

— მანქანა, ბინა... ზოგს ოჯახი ჰყავს, ზოგს მოგზაურობა უყვარს...

— თქვენთან ცხოვრების დონე როგორია?

— სამხრეთ აფრიკა დიდი ქვეყანაა, პრეტორიაში კი, ისევე როგორც თქვენთან, არიან უსახლკაროები, ნახავთ ღარიბ უბნებს, საშუალო ფენას და მდიდრებს. ჩვენთან საკვები ძალიან იაფია. ყველაზე მაგარ რესტორანში ერთი კაცი თავისი მწვადით, ნორმალური ღვინოთი და ამბებით თხუთმეტ დოლარამდე დაჯდება.

— ხშირად დადიხარ რესტორნებში?

— მიწევს ხოლმე, მაგრამ არც ისე ხშირად, უფრო ღამის კლუბები მიყვარს. შეხვალ, წაიცეკვებ და გოგოებს დაელაპარაკები. სხვათა შორის, თბილისში რომ მოვდიოდით, გაგვაფრთხილეს, აქ არიან ორი კატეგორიის გოგოები — ერთი, რომელსაც უნდა გადაუხადო და მეორე — რომელზეც უნდა დაქორწინდე, მართალია?

— ალბათ კი...

— აქ ძალიან ლამაზი გოგოები ვნახე, რაღაცნაირი ეფექტური, ძალიან ლამაზები არიან.

— სამხრეთ აფრიკაში არ არიან ლამაზი გოგოები?

— როგორ არა, მაგრამ აქ უცხო თვალით დანახული მაინც სხვაა.

— გატყობ, გული გწყდება, რომ მალე მიდიხარ საქართველოდან.

— როგორ გითხრა, შეიძლება არ დაიჯერო და ნაღდად გული მწყდება. შეხედე ბიჭებს, თავისი ხელით წვავენ მწვადებს, ერთობიან, აბა, ამათთან გატარებულ დღეებს რამე აჯობებს?! თანაც საქართველო მაგრად მომეწონა. ძალიან გულიანი ხალხი ხართ. ვიცი, რომ ფული არ გაქვთ, მაგრამ ჰარი პოტერივით უცბად, არსაიდან ჩვენი სამასპინძლო თანხა გამოძებნეთ და დიდებულად დაგვხვდით. ამის არდანახვა მხოლოდ უგულო ადამიანს შეუძლია. თქვენამდე არგენტინაში და ურუგვაიში გვქონდა ტურნე და დამერწმუნე, საქართველოში ჩამოსვლამ ორივე ერთად აღებული ორჯერ გადაწონა.

ახლა მაპატიე, ძილის დროა, ხვალ ადრე ვარ ასადგომი, სამხრეთ აფრიკაში უნდა გავფრინდე. დაწერით კი დაწერე, რომ გეო მუდამ ქართველების ხსენებაში იქნება, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით და მომავალ წელს ჩვენთან გელოდებით.

ბაჩო სვანიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ბადრი კეთილაძის ფოტო

გეო კრონხემ დიღმის ბაზაზე რამდენიმე მხიარული დღე გაატარა

ფაჩულია ფოცხვერია?

შარლოტ ბობკეთსმა ქართველი ირჩია

წინა კვირაში ზაზა ფაჩულიამ „ორლანდო მეჯიკთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა, მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, დღეს ის სხვა გუნდის საკუთრებაა. ჩვენთან გუშინდელი დღე რომ თენდებოდა, შორეულ შარლოტში ნბა-ს ახალი, 30-ე გუნდი შეიქმნა სახელდახელოდ „შარლოტ ბობკეთსისთვის“ მოწყობილ დრაფტზე, სადაც 19 არჩეულთაგან ერთ-ერთი ზაზა ფაჩულიაც გახლდათ.

შარლოტში რომ დრაფტი მიმდინარეობდა, ვინ იცის, იმ დროს ფაჩულია მაიამის პლაჟზე იწვა და „ორლანდოს“ შემადგენლობაში ფეხის მოკიდებაზე ფიქრობდა, გეგმებს აწყობდა. ამ დროს კი შარლოტელი „ფოცხვერების“ ხუთასამდე ფანით გავსებულ დარბაზში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ბერნი ბიკერსტაფმა მორიგი ახალწვეულის ვინაობა გამოაცხადა — ჩვენ ვიყვანთ „ორლანდოს“ ფორვარდ ზაზა ფაჩულიას.

ამერიკას ბევრ რამეში ყველასგან განსხვავებული კანონები აქვს. ისე შეირჩა შარლოტური გუნდი, მოთამაშეებს არც შეეკითხნენ, უნდოდათ თუ არა „ბობკეთსში“ თამაში. პროცედურა კი ასეთი გახლდათ: ნბა-ს 29-ვე წევრმა თავისი ის 8-8 მოთამაშე დაასახელა, რომელიც „ბობკეთსისთვის“ არ ემეტებოდა, დანარჩენებისგან კი ვისაც მოინდომებდა, იმას წაიყვანდა შარლოტური გუნდი. თუ ჩავთვლით, რომ თითოეულ გუნდში დაშავებულთა სიაში მყოფი კალათბურთელებიანად 16-18 მოთამაშეა, „ბობკეთსს“ დაახლოებით 190 კალათბურთელისგან უნდა შეერჩია გუნდი.

ჰოდა, შეარჩია 19 მოთამაშე და მათ შორის ქართველიც, რომელიც ფორვარდად აიყვანა (შერჩევა მოხდა პოზიციების მიხედვით).

ასე რომ, შეიქმნა „ბობკეთსის“ 19-კაციანი „ჩონჩხი“, რომელთაგან, შესაძლოა, უმეტესობამ არც ითამაშოს ამ გუნდში. გააჩნია, როგორ წარიმართება შარლოტელების სატრანსფერო პოლიტიკა, ვის სად გაუშვებენ, ვისში გაცვლიან ან უბრალოდ, გაყიდიან.

მაგალითად, აქედანვე ცნობილია, რომ „იუტასგან“ აყვანილი ალექსანდრ პავლოვიჩს „ბობკეთსი“ „კლივლენდში“ გაუშვებს. თავის მხრივ, შარლოტელებმა „კლივლენდისგანაც“ აიყვანეს კაცი, უკანახაზელი ჯეისონ კაპონო და ახლა პავლოვიჩს რომ მისცემენ, „კავალერზს“ მომავალი წლის დრაფტის არჩევანსაც დასცინცლიან.

კარსმომდგარ დრაფტზეც გვარიანად გაძლიერდება „ბობკეტსი“. შარლოტელებს მე-4 არჩევანი ეკუთვნოდათ და იმდენი მოახერხეს, „კლიპერსს“ მე-2-ში გაუცვალეს, თუმც ჩაროზად ამავე დრაფტის 33-ე არჩევნის უფლებაც დაუთმეს.

ამ გარიგებაში იყო ჩართული ლოსანჯელესური გუნდის ყოფილი თავდამსხმელი პრედრიგ დრობნიაკი, რომელიც ალბათ ზაზა ფაჩულიას ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი იქნება ახლადშექმნილ „ბობკეთსში“.

შარლოტელთა ყველაზე ძვირადღირებული კალათბურთელი იქნება 5,8 მილიონიანი კონტრაქტის მქონე ექსფინიქსელი ჯაჰიდი ვაიტი, რომელიც ასევე ყველაზე გამოცდილი და უმჯობესი სტატისტიკის მქონეა 19 ბობკეთსელს შორის.

არჩეულთაგან ათს მოქმედი კონტრაქტი ჰქონდა თავის აქამდელ გუნდთან, ცხრა კი თავისუფალი აგენტია და შეუძლიათ, 1 ივლისიდანვე დაიწყონ მოლაპარაკება ნბა-ს ნებისმიერ გუნდთან.

ფაჩულია ვერსად წავა, თუ „ბობკეთსის“ ხელმძღვანელობა არ იქნება თანახმა. ჰოდა, ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზაზას ბედი გადაწყვეტილა, შარლოტელები მას სავარაუდოდ არსად გაუშვებენ, „ბობკეტსის“ გენმენეჯერმა ბერნი ბიკერსტაფმა ხომ საჯაროდ გააკრიტიკა „ორლანდოს“ ხელმძღვანელობა, პეტ გერიტისთვის ხელის დაფარება და ფაჩულიას ჰაერში გამოკიდება იქნებოდაო?

„ბობკეთსს“ ბოლომდე არ ამოუწურავს არჩევანის უფლება, შარლოტელებმა ხუთივე პოზიციაზე 4-4 მოთამაშე აიყვანეს და დარჩათ ერთი გამთამაშებელი. კლუბის უფროსები სწორედ ამ ბოლო კაცის იმედად არიან, ისეთი გამოცდილი უნდა შევარჩიოთ, ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს რომ ულიდეროსო.

ფაჩულიას კი ერთხელაც ეძლევა შანსი, ისე-რა მეფარეებს ხუთეულში ადგილი აართვას.

ირაკლი პერტაია

ბობკეთსის დრაფტი

კონტრაქტიანები

პრიმოშ ბრეზენცი (ინდიანა)
პრედგარ დრობნიაკი (კლიპერსი)
ბრენდონ ჰანტერი (ბოსტონი)
ჯეისონ კაპონო (კლიპერსი)
ზაზა ფაჩულია (ორლანდო)
ალექსანდრ პავლოვიჩი (იუტა)
ჯამალ სემპსონი (ლეიკერსი)
თერონ სმიტი (მემფისი)
ჯერალდ ვოლესი (საკრამენტო)
ჯაჰიდი ვაიტი (ფინიქსი)

უკონტრაქტონი

ლონი ბაქსტერი (ვაშინგტონი)
ჯეიარ ბრემერი (გოლდენ სტეიტი)
მორის კარტერი (ნიუ ორლეანი)
დესმონდ ფერგიუსონი (პორტლენდი)
მარკუს ფრიზერი (ჩიკაგო)
რიჩი ფრამი (სიეტლი)
ტამარ სლეი (ნიუ ჯერსი)
ჯეფ ტრეპანიე (დენვერი)
ლორენ ვუდსი (მაიამი)

მსოფლიოს ჩემპიონატი ბაუჭბეი

ლიბია, ტრიპოლი 18 იანვარი — 13 ივლისი

აზმაიფარაშვილმა რუსით დაამთავრა

რუსმა დიდოსტატმა ალექსანდრ ლასტინმა მეორე ტურში ჩემპიონატზე შემორჩენელი ერთადერთი ქართველი ზურაბ აზმაიფარაშვილიც გამოთიშა ასპარეზობას. სპეციალისტებმა ეს მოვლენა ინგლისელ შორტის გავარდნასთან ერთად ტურის მთავარ სენსაციად შეაფასეს.

პირველი ტურის მსგავსად, მეორეშიც განმეორებით მატჩში შავი ფიგურებით მოთამაშე აზმაიფარაშვილს მეტოქესთან უცილობლად გამარჯვება სჭირდებოდა, საქმე ტაი-ბრეიკებამდე რომ მიეყვანა.

პარტიის სადებიუტო ნაწილში თეთრების უპირატესობა გამოიკვეთა. რუსმა პატარ-პატარა დარტყმებით დაბომბა ქართველის ტერიტორია და 25-ე სვლაზე ზედმეტ პაიკსაც გამოჭრა ხელი. ორთაბრძოლებს ორივე მეტოქე უფრო საკუთარი ტერიტორიიდან აწარმოებდა და საზღვრის გადაკვეთაზე თავს არ იწუხებდა, ხოლო თუ რომელიმე მამაცი ფიგურა ამას მაინც გაბედავდა, უკან ცოცხალი ვეღარ ბრუნდებოდა. თამაში თანდათან გახურდა, 38-ე სვლაზე ქართველის ეტლი მეტოქის ტერიტორიაზე შეიჭრა, რუსმა კი ლაზიერის ფლანგიდან ოთხი პაიკი გაუშვა ჩათვლის ხაზისკენ. მოიერიშე ეტლმა დიდი თავსატეხი გაუჩინა თეთრებს, რის გამოც ისინი პაიკების გაყვანას მოეშვნენ და დაუპატიჟებელი სტუმრის მოგერიებას შეუდგნენ. გასაჭირში ჩავარდნილი ქართველის ეტლს მალე მაშველი ძალა მიუვიდა, თამაში აეწყო და 53-ე სვლაზე აზმაიფარაშვილს დანებდა მეტოქე.

ტაი-ბრეიკი ქართველისთვის კარგად დაიწყო. იგი პირველ შეხვედრაში შავი ფიგურებით 68-ე სვლაზე დაუზავდა მოწინააღმდეგეს და მეორეშიც თითქოს ყველაფერი მის სასარგებლოდ უნდა წარმართულიყო, თუმც ასე არ მოხდა.

მეორე, ბლიც-პარტიაში აზმაიფარაშვილმა დებიუტი, როგორც წინა შეხვედრებში, ₾3-ით არჩია, თუმც, როგორც ჩანს, მატჩამდე რუსს ეს დაწყება კარგად ჰქონია ათვისებული და ევროპის ჩემპონს შანსი არ დაუტოვა. მეტოქეებმა საკმაო ხანს უცვალეს ერთმანეთს ფიგურები, ბოლოს კი ლასტინის ორი პაიკი ქართველს ჩათვლის ხაზისკენ გაძვრა და აზმაიფარაშვილი იძულებული გახდა, მეთექვსმეტედფინალის საგზური ჩრდილოელი მეზობლისთვის დაეთმო.

ლაზა გეგეჭკორი

პოლას ჯდომა მობეზრდა

ქალთა მარათონში მსოფლიოს რეკორდის მპყრობელი, ბრიტანელი პოლა რედკლიფი ორწლიანი პაუზის შემდეგ სარბენ ბილიკებს და შარაგზებს დაუბრუნდა.

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში მან 5 კმ-იანი დისტანცია 14 წუთსა და 29,11 წამში დაფარა და პირველობა ადვილად მოიპოვა, თუმცა თვის დასაწყისში თურქ ელვან აბილეგესეს დამყარებული რეკორდი მაინც ვერ დაამხო. თურქმა ეს დისტანცია მაშინ 14 წუთსა და 24,68 წამში დაფარა. არადა, რედკლიფმა თავიდან ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყო და თითქოს რეკორდსაც უმიზნებდა, მაგრამ ბოლოსკენ აშკარად შეანელა და მხოლოდ გამარჯვებას დასჯერდა.

ბრიტანელი, რომელმაც ბოლოს 2002 წლის მიუნხენის ევროპის ჩემპიონატზე ირბინა, ოლიმპიადისთვის ემზადება და ამ გამარჯვებას ათენისკენ მიმავალი კიბის ერთ-ერთ საფეხურს ადარებს.

„ეს გამარჯვება მნიშვნელოვანია, მაგრამ თავს მოდუნების უფლებას ვერ მივცემ, მთავარი მიზანი ათენია“ — აცხადებს 29 წლის პოლა.

ლადო ფულუკიძე

ისლანდია

პრემიერლიგიზიონი. VII ტური

აკურეირი 0:2 ფილკირი
კეფლავიკი 0:2 აკრანესი
ჰაფნარფიორდური 4:1 გრინდავიკი
ვიკინგური 3:2 ვესტმანაეიარი

შვედეთი

თასის 1/16 ფინალი

ჰამარბი 1:0 ლანდსკრონა

თასის 1/8 ფინალი

იოსტერსი 3:2 იორგრიტე
ფრისკა 0:4 გიოტებორგი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. X ტური

ინტერი 4:0 ალიანსი
იარო 0:3 ჰაკა

ნორვეგია

თასის 1/8 ფინალი

ბრინი 2:1 ბარუმი
ჰაუგესუნდი 1:2 რუსენბორგი
კონგსვინგერი 0:3 სანდეფიორდი
მანდალი 0:2 ჰამ კამი
სტაბეკი 3:1 მოსი

ათენის ოცნება

ძველ საბერძნეთში ქალებს საერთოდ აკრძალული ჰქონდათ ოლიმპიურ თამაშებზე დასწრება, მაგრამ მას შემდეგ ბევრი ხანი გამოხდა, და დედამიწა თავდაყირა დადგა. ქალები არათუ ოლიმპოსნობენ, არამედ ოლიმპოსნურ ამბავში შიშვლდებიან და ამ ავსტრალიელ მკერდოსან სოფტბოლელებს ამ ჟურნალზე გამოფენილი საკუთარი სხეულთჰარმონიისთვის „ათენის ოცნება“ დაურქმევიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცეცხლი და მუშტი

ათენის ოლიმპიური თამაშების სუნთქვა დედამიწის გარშემო იგრძნობა. იქვე, ოლიმპიის ნანგრევებში ანთებულმა და ათენში მსოფლიოს გავლით მიმავალმა ოლიმპიურმა ცეცხლმა 27 ქვეყნის 34 ქალაქი მოიარა. თუ გახსოვთ, ნიუ იორკში იყო? აეს ამერიკელი მოყვარული მოკრივეები ოლიმპიურ ცეცხლს არა, და ოლიმპიადას კი მოუთმენლად ელიან.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ შალაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ვეშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge